# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№46 (10049) 2026 წლის 22 აპრილი, ოთხშაბათი


## BBC-ის მიზანმიმართული დეზინფორმაცია




4

### ქვეყნის წინააღმდეგ მტრული მიზნების მისაღწევად!..

### „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში ჩარიცხულებმა საქართველოდან გააპარვის ნაცვლად, 15-წლიანი ციხე გაინაღდეს!



11



11

### ასეთი დანაშაულისთვის 7 წელიწადი ძალიან ცოტაა!

ირაკლი კობახიძე:

### დღეს საქართველოს აქვს განვითარების მკაფიო ხედვა!

2

### საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორია და ათენის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

6



### იწამე ღმერთი! დაიცავი სამშობლო! გიყვარდეს ადამიანი!



5

### „ლომის ღრიალი“ ყველას მისწვდება!




11

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე საბოტაჟი აღკვეთეს!



### ილონ მასკს ხელოვნური ინტელექტი „სძულს“!

8

### ხიდი თუ უფსკრული?



7

როსტევანის ამბავი რუსთაველის თეატრის სცენაზე


ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

საქართველოს რესპუბლიკა
დღეს – ხვალისთვის



**ირაკლი კობახიძე:**

## დღეს საქართველოს აქვს განვითარების მკაფიო ხედვა!



# „ქართული ოცნება" 14 წლისაა!

**14 წლის წინ, დღევანდელ დღეს, საქართველოს უახლეს ისტორიაში გარდამტეხი მოვლენა მოხდა, დაფუძნდა პოლიტიკური გაერთიანება – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო". 2012 წლის 21 აპრილი, რომელსაც, ლოგიკურად 2012 წლის პირველ ოქტომბერს, „ნაციონალური მოძრაობის" რეჟიმის დამარცხება მოჰყვა, სიმბოლურად, იმ წერტილად იქცა, საიდანაც ავტოკრატიული მმართველობის მოდელის მქონე, გარე ინტერესებს დაქვემდებარებული ქვეყნიდან, თანამედროვე, დემოკრატიულ, ღირსეულ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდით,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის განცხადებაშია ნათქვამი.

**„დღეს, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" დაფუძნებიდან 14 წლის შემდეგ, შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ის სირთულეები, რომელიც ჩვენმა გუნდმა და ქართველმა ხალხმა გადალახა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, მიაჩნია, რომ 14 წლის შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობის" რეჟიმის დროს არსებულ მდგომარეობასთან პარალელების გავლება დღეს არარელევანტურია, აუცილებელია გვახსოვდეს, როგორი ქვეყნის მართვის მანდატი მიანიჭა ქართველმა საზოგადოებამ „ქართულ ოცნებას" და როგორ სახელმწიფოში ვცხოვრობთ დღეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ქვეყანა სწორედ 2012 წლიდან დაადგა შეუქცევადი განვითარების გზას და იქცა სახელმწიფოდ, რომლის ამოსავალი წერტილი ადამიანია, უმთავრესი პრიორიტეტი კი სახელმწიფო სუვერენიტეტის, დემოკრატიული და ეროვნული ღირებულებების დაცვაა.**

**2012 წლამდე საქართველო სისტემური პრობლემების წინაშე იდგა, პრობლემებისა, რომლებიც არა მხოლოდ თავისუფლად სუნთქვას ხდიდა შეუძლებელს, არამედ ჩვენი სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს აზიანებდა.**

**ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა ჩაიბარა ქვეყანა, სადაც მართლმსაჯულება შერჩევითი იყო, სასამართლოს კი მოსახლეობის ნულოვანი ნდობა ჰქონდა; ადამიანის უფლებების უხეში და სისტემური დარღვევები ჩვენს ყოველდღიურობას წარმოადგენდა, რაც იგრძნობოდა არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ საზოგადოებრივ დონეზე; ყველა მსხვილი, მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობის შესაძლებლობის მქონე მედია, ერთი პარტიის ინტერესებს ექვემდებარებოდა, მედიის შეზღუდვის დონე კი ისეთ მასშტაბს აღწევდა, რომ ინფორმაციის მრავალფეროვნებისა და კრიტიკული აზრის მნიშვნელობაზეც კი ველარავინ ზედავდა საუბარს; ანტიეროვნული რეჟიმის ტერორის მთავარ საყრდენს პოლიტიზებული ძალოვანი სტრუქტურები წარმოადგენდნენ, რომლებიც საკუთარი თანამემამულეების დაცვასა და მშვიდად ცხოვრებაზე კი არ ზრუნავდნენ, არამედ მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართულ იარაღად იყვნენ ქცეული, იარაღად, რომელიც კლავდა, ფეხქვეშ თელავდა ადამიანის უფლებებს და ტოტალური კონტროლისა და ზეწოლისთვის გამოიყენებოდა. ლოგიკურია, რომ ამგვარი „სამართალდამცავი უწყებების" ფონზე, მთავარ სადამსჯელო ფუნქციას საპატიმროები წარმოადგენდა – ჩაკეტილი სისტემა, სადაც ძალიან ბევრ ადამიანს უსამართლოდ, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ათავსებდნენ, რომლიდანაც არ ისმოდა ნაწამები პატიმრების ხმა და რომელშიც, ვერ აღწევდა სასჯელის მოხდის შემდეგ თავისუფლად ცხოვრების გაგრძელების იმედი.**

**ცალკე საკითხია უპრეცედენტო ზეწოლა კერძო საკუთრებასა და ბიზნესზე. უნდა გვახსოვდეს ათეულობით ათასი დაზარალებული, ქონებაწართმეული მოქალაქე, რომელიც სწორედ „სამართალდამცავი", სინამდვილეში კი სადამსჯელო უწყებისა და ციხეში აღმოჩენის შიშით ვერც ხმას იღებდა და ვერც სამართალს პოულობდა.**

**სოციალური უთანასწორობის მაღალ დონეზე, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დაუცველობაზე, არასაკმარისი სოციალური დაცვის მექანიზმებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, წლების განმავლობაში ვცხოვრობდით ქვეყანაში, რომელსაც პრაქტიკულად არ გააჩნდა სახელმწიფო ინსტიტუტები, ქვეყანაში, სადაც განსხვავებული აზრი არა დემოკრატიის ნაწილად, არამედ საფრთხედ და პრობლემად აღიქმებოდა და რაც მთავარია, ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა არ ენდობოდა!**

**სწორედ ამგვარი იყო ის ქვეყანა, რომელსაც გარე ძალები „დემოკრატიის შუქურად" ასაღებდნენ...",** – ნათქვამია **ირაკლი კობახიძის** განცხადებაში.

განცხადებაში ირაკლი კობახიძე ასევე აღნიშნავს, რომ ამ უმძიმესი მემკვიდრეობის ფონზე, საქართველოს მოსახლეობის ლეგიტიმაციით, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან „ქართულმა ოცნებამ" სრული პასუხისმგებლობა აიღო ქვეყნის წინაშე და ფუნდამენტური პრობლემების მიუხედავად, წლების განმავლობაში განხორციელებული სისტემური ცვლილებებით, სამართლიანი, დემოკრატიული და სტაბილური სახელმწიფოს მშენებლობას შეუდგა.

**„დღეს, 14 წლის შემდეგ, საქართველო უკვე სრულიად განსხვავებულ რეალობაში ცხოვრობს, ქვეყანაში, სადაც ეტაპობრივად განმტკიცდა სამართლებრივი სახელმწიფო და მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ნდობა ინსტიტუტების მიმართ. მართლმსაჯულების სისტემა გახდა გამჭვირვალე და დამოუკიდებელი, ხოლო სასამართლო კანონის უზენაესობაზე და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებები და თავისუფლებების დაცვა ფორმალობიდან – რეალობად იქცა, რადგან სახელმწიფოს პოლიტიკა თითოეული მოქალაქის ღირსების ხელშეუვალობასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული.**

**მედია გარემო მრავალფეროვანი და პლურალისტური გახდა – დღეს ქვეყანაში თავისუფლად ფუნქციონირებს განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკის მქონე არაერთი ტელევიზია, ონლაინ და ბეჭდური საშუალება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და კრიტიკული აზრის თავისუფალ გამოხატვას.**

**ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ბუნებრივია, გაიზარდა მოქალაქეთა ნდობა სახელმწიფოს მიმართ, რადგან დღეს საქართველო არის ქვეყანა, სადაც ხელისუფლება ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე, ხოლო ინსტიტუტები ემსახურება საზოგადოებას. რასაკვირველია, ამ ისტორიულ პროცესში განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ბიძინა ივანიშვილის ფუნდამენტური როლი, რომელიც დღეს უკვე „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" საპატიო თავმჯდომარემ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფორმირებაში შეიტანა. სწორედ მისმა ხედვამ და ქვეყნისა და ხალხის წინაშე აღებულმა პირადმა პასუხისმგებლობამ განსაზღვრა გზა, რომელმაც საქართველო გარდამტეხ ეტაპამდე მიიყვანა, სწორედ მისი ლიდერობით გახდა შესაძლებელი საზოგადოების გაერთიანება საერთო ეროვნული მიზნის გარშემო, დემოკრატიული ცვლილებების მშვიდობიანი გზით განხორციელება და იმ სისტემური მანკიერებების დემონტაჟი, რომლებიც წლების განმავლობაში აფერხებდა ქვეყნის განვითარებას. ეს არის გზა, რომელიც 14 წლის განმავლობაში, „ქართულმა ოცნებამ" ნაბიჯ-ნაბიჯ გაატარა ჩვენს ქვეყანას, გზა გამოწვევებიდან – პროგრესისკენ, დაპირისპირებიდან – სტაბილურობისკენ და უნდობლობიდან – ნდობისკენ. ეს არის გზა, რომელმაც დაამტკიცა, რომ თანმიმდევრული პოლიტიკა, სუვერენიტეტის დაცვა და მშვიდობაზე ორიენტირებული ხედვა შესაძლებელია ქვეყნის წარმატების საფუძვლად იქცეს. რა თქმა უნდა, გამოწვევები კვლავ არსებობს, მით უფრო თანამედროვე მსოფლიო წესრიგის გათვალისწინებით, როდესაც გეოპოლიტიკური ინტერესები ხშირად კვეთს მცირე და განვითარებადი სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებს.**

**ამგვარ ვითარებაში საქართველოსთვის და ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად სუვერენიტეტის დაცვა და დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის შენარჩუნება რჩება. „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" ლეგიტიმაციას ქართველი ხალხისგან იღებს, რაც წლიდან წლამდე ჩატარებული დემოკრატიული არჩევნებით და საზოგადოების მხარდაჭერით მტკიცდება. შესაბამისად, ბუნებრივია, ჩვენი პოლიტიკური გუნდის მთავარი ამოცანა ქვეყნის იმ მიმართულებით განვითარებაა, რომელიც მოქალაქეთა მოთხოვნას პასუხობს. სწორედ ქართველი ხალხისგან მინიჭებული ლეგიტიმაციის შედეგია ის, რომ დღეს საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც აქვს ძლიერი საფუძველი და განვითარების მკაფიო ხედვა. „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" თითოეულ წევრს, ჩვენი პოლიტიკური გუნდის თითოეულ მხარდამჭერს, ჩვენი ქვეყნის თითოეულ პატრიოტს გილოცავთ ამ მნიშვნელოვან იუბილეს. წინ კიდევ უფრო დიდი მიზნები და შესაძლებლობებია, შესაძლებლობები, რომელთა გამოყენებითაც ერთად გავაძლიერებთ ჩვენს სამშობლოს!",** – ნათქვამია განცხადებაში, რომელიც **ირაკლი კობახიძის** ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნდა.

**21 აპრილი, 2026 წ.**

# საკადრო ცვლილებები საქართველოს მთავრობაში

**საქართველოს მთავრობის სტრუქტურას დაემატება სამართალდამცავი ორგანოების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა. აღნიშნულ თანამდებობას დაიკავებს მამუკა მდინარაძე,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** გუშინ ბრიფინგზე განაცხადა.

**მამუკა მდინარაძეს** ასევე დაეკისრება საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობა.

სახელმწიფო უსაფრთხოების თანამდებობაზე კი მამუკა მდინარაძე **გეკა გელაძემ** შეცვალა.



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე **სულხან თამაზაშვილი** დაინიშნა.

**სულხან თამაზაშვილი** აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა. შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე **სულხან თამაზაშვილმა გეკა გელაძე** შეცვალა. საკადრო ცვლილებების თანახმად, გეკა გელაძე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელად არის წარდგენილი. **გეკა გელაძე** შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას 2025 წლის 28 მაისიდან იკავებდა.

ვიცე-პრემიერი გახდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **მაკა ბოჭორიშვილი.**

ახალი რეალობა
საქართველოს რესპუბლიკა

# დასრულდა თუ არა იზოლაციის საფრთხე?




**ბოლო პერიოდში ქართულ პოლიტიკურ ველზე განვითარებული მოვლენები აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ „ქართული ოცნების“ საერთაშორისო იზოლაციის მცდელობა, რაზეც ოპოზიციური სპექტრი ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად აპელირებდა, კრახით დასრულდა. იმ ფონზე, როდესაც გეოპოლიტიკური ვითარება კავკასიაში რადიკალურად იცვლება, დასავლეთი, როგორც ჩანს, პრაგმატულ გათვლებს ანიჭებს უპირატესობას.**

## რატომ იცვლება რიტორიკა?

**თუ დავაკვირდებით ბოლო თვეების დინამიკას, აშკარაა, რომ ვაშინგტონსა და თბილისს შორის ურთიერთობების „გადატვირთვის“ პროცესი დაწყებულია. ამის რამდენიმე მკაფიო ნიშანი არსებობს:**

მაღალი დონის კომუნიკაცია – სენატორ **მარკო რუბიოს** ზარი პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძესთან** იყო ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო სიგნალი. რუბიო, რომელიც ამერიკულ პოლიტიკაში გავლენიანი ფიგურაა, ხაზს უსვამს საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას.

ვიზიტების ინტენსივობა – აპრილში დაგეგმილი და უკვე განხორციელებული ვიზიტები ამერიკელი მაღალჩინოსნების მხრიდან მიუთითებს იმაზე, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია მზად არის დიალოგისთვის. ეს აღარ ჰგავს „კარნახის“ რეჟიმს, არამედ უფრო მეტად პარტნიორულ გადაფასებას.

**ეკონომიკური სიგნალები: „ტრამპ თაუერი“ – ამერიკულ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია თბილისში „ტრამპ თაუერის“ შესაძლო მშენებლობის შესახებ მხოლოდ ბიზნეს-პროექტი არ არის.** ეს არის სიმბოლური დასტური იმისა, რომ ამერიკული მსხვილი კაპიტალი და გავლენიანი წრეები საქართველოში სტაბილურობასა და გრძელვადიან პერსპექტივას ხედავენ.

* * *

**დასავლეთმა, განსაკუთრებით კი ვაშინგტონმა გააანალიზა, რომ საქართველოს იზოლაციაში მოქცევა რეგიონში მისი გავლენის სრულ დაკარგვას ნიშნავს. უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, შუა დერეფნის პროექტი და საქართველოს როლი, როგორც ენერგეტიკული და ლოჯისტიკური ჰაბის, კრიტიკულად გაიზარდა. საქართველო დღეს კავკასიის „ხერხემალს“ წარმოადგენს. ამ რეალობის გათვალისწინებით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან ხიდების დაწვა დასავლეთისთვის სტრატეგიული შეცდომა იქნებოდა.**




ბრიუსელშიც კი, სადაც რიტორიკა ხშირად უფრო მკაცრია, შეიმჩნევა გარკვეული გადაფასების ნიშნები. ევროპული სტრუქტურები ხვდებიან, რომ მხოლოდ სანქციებითა და კრიტიკით საქართველოს შენარჩუნება შეუძლებელია, მით უმეტეს, როცა ქვეყანა ეკონომიკურ ზრდასა და სტაბილურობას ინარჩუნებს.

## ოპოზიციის შეცვლილი ტაქტიკა

**ყველაზე საინტერესო პროცესები ქართულ ოპოზიციურ ფლანგზე მიმდინარეობს. სალომე ზურაბიშვილის ბოლო განცხადებები არჩევნების აუცილებლობასა და ოპოზიციის კონსოლიდაციის მცდელობაზე, ექსპერტთა ნაწილის აზრით, არის ირიბი აღიარება იმისა, რომ „იზოლაციის მითი“ დაიმსხვრა.**

**„ოპოზიცია მიხვდა, რომ გარედან მხარდაჭერის იმედად ყოფნა, როცა ვაშინგტონი ხელისუფლებასთან დიალოგს იწყებს, წამგებიანია. მათ დასჭირდათ დღის წესრიგის შეცვლა, რადგან საერთაშორისო იზოლაციის არგუმენტი აღარ მუშაობს“, – აცხადებენ ხელისუფლებაში.**

როდესაც ექსპრეზიდენტი და ოპოზიციური ლიდერები აქცენტს მხოლოდ შიდა პოლიტიკურ მობილიზაციაზე აკეთებენ, ეს ნიშნავს, რომ მათ დაინახეს დასავლეთის მზაობა – იმუშაონ „ქართულ ოცნებასთან“.

## რატომ ვერ მოხდა იზოლაცია?

**არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რამაც მმართველი გუნდის პოზიციები გაამაგრა:**

**ეკონომიკური მდგრადობა** – ორნიშნა ეკონომიკური ზრდა და ფინანსური სტაბილურობა ხელისუფლებას საერთაშორისო პარტნიორებთან უფრო თავდაჯერებულს ხდის.

**დაბალანსებული საგარეო პოლიტიკა** – „ოცნებამ“ შეძლო, თავი აერიდებინა პირდაპირი სამხედრო კონფრონტაციისთვის, რამაც დასავლეთის პრაგმატულ წრეებში დადებითი შეფასება ჰპოვა.

**ალტერნატივის არარსებობა** – დასავლეთი ხედავს, რომ ოპოზიცია დაქსაქსულია და არ გააჩნია ერთიანი, ძლიერი ხედვა, რაც მათ სტაბილურ პარტნიორად აქცევდა.

ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ ნელ-ნელა აღწევს თავს იმ იზოლაციას, რომლის პროგნოზირებაც ოპოზიციის მთავარი იარაღი იყო. ვიზიტების სიხშირე, ამერიკელი მაღალჩინოსნების ზარები და მსხვილი ბიზნეს-ინტერესები მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო რჩება დასავლეთისთვის მნიშვნელოვან მოთამაშედ.

* * *

**ანალიტიკოსი და ისტორიკოსი ედიშერ გვენეტაძე მიიჩნევს, რომ ის, რასაც ჩვენ დღეს საერთაშორისო ასპარეზზე ვხედავთ, არის „ქართული ოცნების“ მიერ გატარებული პრაგმატული და ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული პოლიტიკის ლოგიკური შედეგი.**

**„ე.წ. „იზოლაცია“, რომლითაც წლების განმავლობაში რადიკალური ოპოზიცია და მათი ლობისტები აშინებდნენ ქართველ ხალხს, აღმოჩნდა საპნის ბუშტი, რომელიც რეალობასთან შეჯახებისას გასკდა. მარკო რუბიოს ზარი პრემიერ კობახიძესთან, ამერიკელი მაღალჩინოსნების ვიზიტები და თუნდაც „ტრამპ თაუერის“ გარშემო გაჩენილი ინფორმაცია, პირდაპირი დასტურია იმისა, რომ ვაშინგტონი ანგარიშს უწევს მოქმედ ხელისუფლებას. დასავლეთში კარგად ესმით, რომ დღევანდელ გეოპოლიტიკურ ვითარებაში საქართველო არის კავკასიის ხერხემალი. ამ ხერხემლის გადატეხვის მცდელობა ნიშნავს რეგიონში დასავლური გავლენის სრულ კრახს, რაც მათ ინტერესებში არ შედის“,** – ამბობს ანალიტიკოსი. მისივე თქმით, რაც შეეხება ოპოზიციას, მათი რიტორიკის შეცვლა და სალომე ზურაბიშვილის გამოსვლები იმაზე მიუთითებს, რომ მათ საერთაშორისო დონეზე საყრდენი გამოეცალათ.

**„ისინი მიხვდნენ, რომ ბრიუსელისა და ვაშინგტონის კაბინეტებში „ოცნების“ დემონიზაციამ აღარ იმუშავა. დღეს მსოფლიო ლიდერები ელაპარაკებიან მას, ვინც ქვეყანაში რეალურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ წინსვლას უზრუნველყოფს. იზოლაციის მითი დაინგრა და ახლა ოპოზიცია ცდილობს, სასწრაფოდ მოერგოს ახალ რეალობას, სადაც საქართველო აღარ არის მორჩილი შემსრულებელი, არამედ არის ღირსეული და საჭირო პარტნიორი“,** – განაცხადა მან.

**ლიკა ბერიკაშვილი**

---

გუშინდელი ფოსტიდან!

# ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს!!!

**ამ ბოლო წლებში ყურები გამოგვიჭედეს იმის მტკიცებით, რომ საქართველო ეკონომიკურად წარმატებით ვითარდება, მაგრამ ქართულ პენსიებს თუ შევადარებთ თუნდაც მეზობელ ქვეყნებს, საქართველოში გევრად ცუდი მდგომარეობა და დაბალი პენსიებია! აღარაფერს ვამბობთ სხვებთან შედარებით ჩამორჩენილ რუმინეთზე, სადაც პენსია 500 დოლარია, ბულგარეთში – 400, რუსეთში – 250, აზერბაიჯანში – 300, სომხეთში – 250, საქართველოში კი – მხოლოდ 137 დოლარის ექვივალენტი!**

საქართველოში არც განსაკუთრებით დამსახურებულ ადამიანებს ვანსხვავებთ, არც შრომის ვეტერანებს, არც ღირსეულ და 40-50 წლის სტაჟის მქონე მოქალაქეებს! ძალოვანებს თუ აქვთ შედარებით მაღალი პენსიები, რა დააშავა გამორჩეული დამსახურების მქონე მამულიშვილებმა?

ჩვენზე „მოფიქრალმა“ პარლამენტარებმა საკუთარი თავი არ დაივიწყეს და ჩვენ, დამსახურებული ადამიანები საერთოდ ფეხებზე დაგვიკიდეს.

**ირაკლი კობახიძე ახლახან აცხადებდა, ჩვენი ხელფასების დანამატები 800.000 პენსიონერს 2-3 ლარითაც ვერ წაადგებოდაო!**

**ცოცხალი ტყუილია ეს!**

გარდა ამისა, ჩვენ საყოველთაო უსაქმურების, ქურდების, ბანდიტების, ყოვლად უვარგისი ადამიანების ბედი ნაკლებად გვაინტერესებს, ვწუხვართ იმაზე, რომ დამსახურებული ადამიანების პენსია თითქმის გათანაბრებულია ამ არამზადებთან.

ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ დღევანდელ საქართველოში მაქსიმუმ 30 ათასი კაცი თუ იქნება, რომელთაც ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვთ! ვიმეორებ, მათ მინიმუმ 40-50 წლის შრომის უწყვეტი სტაჟი აქვთ! სწორედ ასეთ ადამიანებს უნდა სცეთ პატივი და სოლიდური პენსია დაუნიშნოთ!

**სად გაგონილა ასეთი სამარცხვინო გათანაბრება, სად გაგონილა ასეთი იურიდიული თუ ზნეობრივი უკანონობა!**

**ამ, საცოდავ, „ორნიშნა ეკონომიკური ზრდით“ გამორჩეულ საქართველოში, დღეს ისეთი სწრაფი ტემპით იზრდება სიკვდილიანობა, ორ-სამ წელიწადში განსაკუთრებული დამსახურების მქონე ადამიანთა რაოდენობა მართლაც თითებზე ჩამოსათვლელი დარჩება!**

**აშკარაა, რომ ჩვენს სიკვდილს ელოდებით!**




**კონსტანტინე ხვედელიძე,**
პენსიონერი, დამსახურებული ინჟინერი, ღირსების ორდენის კავალერი.

**გალაკტიონ ქობულაძე,**
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დამსახურებული გამომგონებელი, ღირსების ორდენოსანი.

# როდესაც საქმე ჯანმრთელობას ეხება გონივრული მიდგომაა საჭირო



**მიხეილ სარჯველაძე:**

## ევროპული სახელმწიფოებიც ვერ ჩქარობენ დიუშენის მედიკამენტებზე გადაწყვეტილებას, ამიტომ ვერც ერთ ქვეყანაზე ვერ ვიტყვი, რომ პაციენტისთვის 700 000-დოლარიან წამალს ვერ იმეტებენ

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მიხეილ სარჯველაძის თქმით, ევროპული სახელმწიფოები სამკურნალო მედიკამენტების გამოყენების საკითხს გონივრული სიფრთხილით უდგებიან.

**„არის კიდევ ერთი მედიკამენტი, რომელთან დაკავშირებითაც EMA-ს გადაწყვეტილებაში მარტივად ნათქვამია: „საჭიროა დამატებითი მონაცემების წარმოდგენა, რათა შევისწავლოთ მცირე რაოდენობით გამომუშავებული მოკლე დისტროფინი რამდენად ახდენს გავლენას პაციენტებში გადაადგილების უნარის გაუმჯობესებაზე. აქაც ნათლად ჩანს შემდგომი კვლევისა და შესწავლის აუცილებლობა. არის კიდევ ერთი მედიკამენტი, რომელსაც აქვს დაპირება, რომ ახდენს ეტლის საჭიროების გადავადებას. მას აქვს როგორც FDA-ს, ისე EMA-ს ავტორიზაცია. ამის მიუხედავად, ღია წყაროებში შეგხვდებათ ინფორმაცია, შემიძლია, სარწმუნო წყაროების მითითება, რომ ამ მედიკამენტის გამოყენებისას პრაქტიკაში დადასტურებულია ბავშვების გარდაცვალების შემთხვევები. მიმდინარეობს აქტიური კვლევები იმის დასადასტურებლად ან იმედია, გამოსარიცხად, რომ გარდაცვალების მიზეზი კავშირშია ამ მედიკამენტთან.**

**ევროპული ქვეყნების მარეგულირებლები არც ამ მედიკამენტის სახელმწიფო პროგრამებში დანერგვას ჩქარობენ. ისინი აქტიურად და ინტენსიურად იკვლევენ საკითხს და ემზადებიან როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გადაწყვეტილებების მისაღებად. დღემდე არ არის ცხადი, რა მიდგომა იქნება არჩეული, რაც ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი მაჩვენებელი იქნებოდა მედიკამენტების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის შეფასებისას. ვიდრე ევროპული სახელმწიფოებიც იკვლევენ და ვერ ჩქარობენ გადაწყვეტილების მიღებას, ვერ ცერთ სახელმწიფოზე ვერ ვიტყვი, რომ თითოეული პაციენტისთვის ყოველწლიურად 700-ათასდოლარიან წამალს ვერ იმეტებენ. ევროპული სახელმწიფოები საკითხს გონივრული სიფრთხილით უდგებიან.**

**ამრიგად, მოთხოვნა წამოყენებულია წამლებზე, რომელთა ფუნქცია არის არა სიცოცხლის გადარჩენა, განკურნება ან სიცოცხლის გახანგრძლივება. ასეთი ეფექტის მქონე მედიკამენტების გამოჩენას ყველა ველოდებით და ვგულშემატკივრობთ. ამ მედიკამენტების ფუნქცია მხოლოდ ეტლის საჭიროების გადავადებაა, თუმცა აქაც კითხვის ნიშნებია მათი ეფექტიანობისა და უსაფრთხოების შესახებ. სწორი არ იქნება, ამ მედიკამენტებზე გვქონდეს მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ დაავადების განკურნება ან სიცოცხლის გახანგრძლივება.**

**ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეტლის საჭიროების გადავადებისა და, უფრო მეტიც, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გაზრდის თვალსაზრისით, დადასტურებული დადებითი ეფექტი აქვს ე.წ. კორტიკოსტეროიდებს, რომელიც უკვე გათვალისწინებულია სახელმწიფო პროგრამით და, ევროპის წამყვანი ქვეყნების მსგავსად, სრულად ფინანსდება. მის უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის შესახებ კითხვის ნიშნები არ არსებობს. სამწუხაროდ, სამუშაო გვაქვს იმაზე, რომ ამ მედიკამენტების გამოყენება ხორციელდებოდეს, სადაც რეალურად არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები. სამინისტრო გააგრძელებს მუშაობას როგორც მედიკამენტების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის შესწავლის მიმართულებით, ისე ყველა სხვა საჭიროებაზე რეაგირების კუთხით. ეს ეხება არა მხოლოდ კონკრეტულ დაავადებას, არამედ სხვა იშვიათ და არაიშვიათ დაავადებებსაც – იქნება ეს ონკოლოგია, გაფანტული სკლეროზი თუ სხვა.**

**მინდა, დავესესხო დარგში მოღვაწე ერთ-ერთ ექსპერტს, რომელმაც ერთ-ერთ კონფერენციაზე თქვა: „უკანასკნელი ათი წელიწადი იყო რევოლუციური დიუშენის კუნთოვანი დისტროფიის სფეროში, მაგრამ დღეს, პასუხზე მეტად, იმაზე მეტი კითხვა არსებობს, ვიდრე არსებობდა ათი წლის წინ“. მართლაც, ათი წლის წინ კითხვა არ არსებობდა, პასუხი სრულიად უიმედო იყო. საბედნიეროდ, გაჩნდა კითხვები და იმედი მაქვს, პასუხებიც მალე მოიძებნება. ამის იმედი აქვთ, მათ შორის, განვითარებულ და ფინანსურად ბევრად მძლავრ სახელმწიფოებსაც, რომლებიც ამ დრომდე თავს იკავებენ ამ მედიკამენტების სახელმწიფო დაფინანსებისგან. ამ კითხვებზე პასუხების საჭიროების გამო იკავებენ თავს ევროპული სახელმწიფოებიც და არა იმის გამო, რომ რომელიმე სკანდინავიურ სახელმწიფოს ემპათია აკლია ან ერთ პაციენტზე წლიურად, საშუალოდ, 2.5 მილიონი წამლის დაფინანსება ენანება. არიან ევროპული სახელმწიფოები საქართველოსთან შედარებით ბევრად მძლავრი, ფინანსური შესაძლებლობებით, ბევრად დაწინაურებული ჯანდაცვის სისტემებით – ნორვეგია, პორტუგალია, ნიდერლანდები თუ სხვა. არ არის სწორი და ლოგიკური, დავსვათ რიტორიკული კითხვა, ამ სახელმწიფოებს რა მიზეზით არ აქვთ შეტანილი საკუთარ ჯანდაცვის პროგრამაში ამ მედიკამენტების დაფინანსება. ეს ის საკითხია, რომლის გამოკვლევაზეც და შესწავლაზეც მუშაობს ჩვენი ქვეყანა“,** – განაცხადა **სარჯველაძემ** ბრიფინგზე.

# BBC-ის მიზანმიმართული დეზინფორმაცია

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2025 წლის ანგარიშში საქართველოს თაობაზე BBC-ს მიერ მომზადებულ ფილმზეც არის საუბარი. პარლამენტისთვის წარდგენილ დოკუმენტში ნათქვამია, რომ 25 წლის დეკემბრის დასაწყისში გავრცელდა BBC-ს საგამოძიებო სიუჟეტი, რომლის მიხედვით, საქართველოს ხელისუფლება დადანაშაულებული იყო საპროტესტო აქციებში მონაწილე პირების წინააღმდეგ თითქოსდა აკრძალული ტოქსიკური ნივთიერების, Bromibenzyl cyanide-ის, იმავე „კამიტის“ გამოყენებაში.**

## ქვეყნის წინააღმდეგ მტრული მიზნების მისაღწევად!..



**„შედეგად, სუს-ში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე როგორც BBC-ს მიერ გაკეთებულ სიუჟეტში გადმოცემულ ინფორმაციაზე, ასევე მის საფუძველზე საქართველოში წარმოებულ კამპანიასთან დაკავშირებით. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა 160-ზე მეტი საგამოძიებო მოქმედება, გამოიკითხა 93 მოწმე, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები, ექიმები, ექსპერტები, ბრიტანული მაუწყებლის სიუჟეტის რესპონდენტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა პირები. ამოღებული იყო სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია შსს-სა და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან.**

**შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირველი და მეორე სამმართველოების ბაზებიდან გამოძიებამ ამოიღო კვლევის 25 ნიმუში, რომლებზეც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჩატარდა ქიმიური ექსპერტიზა.**

**ხსენებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ქიმიური ფხვნილი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეძენილი ჰქონდა და წლების განმავლობაში, მიმდინარე აქციების დროს საჭიროებიდან გამომდინარე გამოიყენებოდა მასების მართვისთვის, არის „ქლორობენზილიდინ მალონონიტრილი“. აღნიშნული ნივთიერება შსს-ს მიერ შეძენილია ებრაული კომპანიისგან 2007 წლის 18 დეკემბერს, 2009 წლის 27 მარტს გამხსნელ ნივთიერება „ტრიქლორეთილენთან“ ერთად. მას ტრანსპორტირებისას მინიჭებული ჰქონდა საერთაშორისო გადაზიდვის კოდი UN3439, ხოლო გამხსნელ სითხეს – გადაზიდვის კოდი UN1710. ეს კოდები ფიქსირდება საბაჟო დოკუმენტაციაში და ყველა სხვა, მათ შორის, გამოყენების შემდგომ პერიოდში შედგენილ ჩამოწერის აქტებშიც. ნიმუშის სახით ამოღებული იქნა 17.5-კილოგრამიანი კასრი, რომელშიც ხსენებული ფხვნილი ინახებოდა. მასზე დაკრული**




**იყო ნივთიერების მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ დამზადებული საინფორმაციო სტიკერი, რომელზეც, სხვა უამრავ მონაცემთან ერთად, აღნიშნული იყო როგორც ხსენებული ნივთიერების დასახელება „ქლორობენზილიდინ მალონონიტრილი“, ასევე მინიჭებული საერთაშორისო ტრანსპორტირების კოდი UN3439“,** – აღნიშნულია დოკუმენტში.

სუს-ის ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ **BBC-ს სიუჟეტში მოხსენიებული საერთაშორისო გადაზიდვის კოდებით – UN3439 და UN1710, შსს-ს გარდა, სხვადასხვა ქართულ ორგანიზაციას, მათ შორის „ავერსი-რაციონალს“, „ჯიპისის“, „რუსთავის აზოტს“ და სხვებს, ბოლო 20 წლის განმავლობაში 606-ჯერ აქვთ შემოტანილი. ასევე, ტრანსპორტირების კოდი UN3439 507-X ტრანსპორტირების კოდი UN1710 99-ჯერ არის დაფიქსირებული საბაჟო დეპარტამენტის სააღრიცხვო ბაზებში. რაც შეეხება ნივთიერება „ბრომობენზილ ციანიდს“, იმავე „კამიტს“, ასეთი ნივთიერება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არასდროს შეუძენია.**

**საქმეზე მოწმის სახით დაიკითხნენ ის ადამიანები, რომელთა ე.წ. დასკვნებს თუ ინფორმაციებს ეყრდნობოდა BBC-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია მომწამვლელი ქიმიური ნივთიერების გამოყენების შესახებ. გამოკითხვის დროს აბსოლუტურად ყველა მათგანმა უარყო, რომ მათი ინფორმაციები თუ დასკვნები ეხებოდა მომწამვლელ ქიმიურ ნივთიერება „კამიტს“. ე.წ. კვლევის ავტორთა განმარტებით, ისინი ვერ დაადგენდნენ „კამიტის“ გამოყენების ფაქტს იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ამ მიმართულებით კვლევა არ უწარმოებიათ. გამოძიების ფარგლებში მოწმის სახით გამოკითხული მედიცინისა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლების განცხადებების მიხედვით, ნივთიერება „ბრომობენზილ ციანიდის“, ე.წ. კამიტის გამოყენება ადამიანების მიმართ იწვევს უმძიმეს და ხშირ შემთხვევაში ლეტალურ შედეგსაც კი, რის გამოც ის გასული საუკუნის 30-იან წლებში აიკრძალა.**

იხ. 9 გვ.

# პატრიოტიზმის დიქოტომია

**თანამედროვე საქართველოს ღირებულებითი და პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო გამოვლენა იყო მცდელობა, რომ ეროვნული ტრიადა მამული, ენა, სარწმუნოება გადახედილიყო და მასში „სარწმუნოების“ ნაცვლად „ერთობა“ ჩასმულიყო. აღნიშნული ფაქტი არ შეიძლება აღქმულ იქნას როგორც უბრალო ტერმინოლოგიური კორექცია. საქმე ეხება ეროვნული იდენტობის Caption საფუძვლის მოშლის მცდელობას. ეს მცდელობა უკუგდებულია საზოგადოების უმრავლესობისაგან და მკაცრად იქნა დაგმობილი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს იდეა გაჟღერდა ქართველების პირით, რაც, სავარაუდოდ, მიუთითებს გარე გავლენების ხელწერაზე. სწორედ ამ წერტილში იკვეთება თანამედროვე ქართული რეალობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემა — პატრიოტიზმის დიქოტომია.**



# ინამე ღმერთი! დაიცავი სამშობლო! გიყვარდეს ადამიანი!

**ერთსა და იმავე ერში ჩამოყალიბდა ორი ურთიერთსაპირისპირო გაგება სამშობლოს სიყვარულისა. ერთი მიდგომა პატრიოტიზმს ხედავს ცვლილებაში, გლობალურ სისტემებთან ინტეგრაციაში და ღირებულებითი ტრანსფორმაციის პროცესში. მეორე მიდგომა კი პატრიოტიზმს აღიქვამს, როგორც ქრისტიანული ტრადიციების დაცვას, შენარჩუნებას და ისტორიული მემკვიდრეობის ერთგულებას. ამგვარად, მცნება პატრიოტიზმი, რომელიც უნდა იყოს გამაერთიანებელი პრინციპი, იქცა საზოგადოებრივი დაყოფის წყაროდ.**

**ეს დიქოტომია განსაკუთრებული სიმწვავით ვლინდება დიასპორაში. უცხოეთში მცხოვრები ქართველი ხშირად აღმოჩნდება ორ ღირებულებით სისტემას შორის.**

ერთი მხრივ, იგი ეკუთვნის საკუთარ ისტორიულ და კულტურულ ფესვებს, ხოლო მეორე მხრივ, ცხოვრობს გარემოში, რომელიც მას სთავაზობს განსხვავებულ იდეოლოგიურ ჩარჩოებს. შედეგად, სამშობლოს აღქმა ხშირად აღარ ეფუძნება წარსულის გამოცდილებას, არამედ ფორმირდება გარე ნარატივებისა და ემიგრაციაში მიღებული ცხოვრების წესის გავლენით. ამ პროცესში ჩნდება მდგომარეობა, როდესაც ერთი ერი იწყებს განსხვავებული კატეგორიებით აზროვნებას, რაც უკვე სცდება პოლიტიკურ განსხვავებას და გადადის ღირებულებით დისონანსში.

დიასპორა ამგვარად აღარ შემოიფარგლება მხოლოდ კულტურული არსებობით საზღვარგარეთ და ყალიბდება პოლიტიკურ რესურსად, რომელიც ხშირად ექცევა დაინტერესებული წრეების გავლენის ქვეშ და გამოიყენება შიდა პოლიტიკური პროცესების მანიპულირებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის შიგნით პოლიტიკური დებატების განახლება მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუმცა ამ პროცესმა თავად ოპოზიციური სივრცის ფრაგმენტაციაც გამოავლინა. ნაწილი უარს ამბობს ინსტიტუციურ დიალოგზე და რადიკალიზმის გზას ირჩევს, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც დებატებში მონაწილეობს, კოლაბორაციაშია დადანაშაულებული რადიკალების მხრიდან. ეს კიდევ უფრო ამწვავებს პოლარიზაციას.

ამავე დროს, დიასპორასთან დაკავშირებულმა გადაწყვეტილებებმა ახალი რეალობა შექმნა. საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეებისთვის არჩევნებში მონაწილეობის წესის ცვლილებამ უფრო მეტად გაზარდა დიასპორის წარმომადგენელთა უკმაყოფილება არსებული ხელისუფლების მიმართ.

საერთაშორისო პრაქტიკა (მოლდოვის მაგალითი) აჩვენებს, რომ ემიგრაცია შეიძლება იქცეს გადამწყვეტ ძალად. აქედან გამომდინარე, სრულიად საფუძვლიანია ვარაუდი, რომ არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, 2028 წლის არჩევნებისათვის, ერთი მხრივ, ფინანსურად შეძლებული და მოტივირებული ემიგრანტები თავად განახორციელებენ სამშობლოში გამგზავრებას, ხოლო მეორე მხრივ, დაინტერესებული გარე აქტორები შეეცდებიან დიასპორის მიზანმიმართულ მობილიზაციას და მათ ორგანიზებულად გამომგზავრებას, ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენის მიზნით. ამიტომ დიასპორასთან ურთიერთობა უნდა იყოს გააზრებული და სისტემური. იგი მოითხოვს დიალოგს, არგუმენტირებულ დისკუსიას და კომუნიკაციას. იზოლაცია მხოლოდ გააღრმავებს დაყოფას, ხოლო ჩართულობა ქმნის ერთიანობის დალაგების შესაძლებლობას.

სამთავრობო ვიზიტები და პირადი შეხვედრები ოპოზიციურად განწყობილ წარმომადგენლებთან თუ ონლაინ ხიდების მოწყობა, ქვეყნის შიგნით არსებულ დებატების სულისკვეთებას, საზღვრებს გარეთაც გაავრცელებდა.

ამავე კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „პრო“ იდენტობების კრიტიკა. პროდასავლური ან პრორუსული თვითიდენტიფიკაცია რეალურად აქცევს საქართველოს არა მიზნად, არამედ საშუალებად. ნებისმიერი „პრო“, თავისი ბუნებით, შეიცავს საფრთხეს, რომ გადაიქცეს ანტიქართულად, რადგან იგი ეროვნულ ინტერესს უმორჩილებს გარე ძალას.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა იმ ეპოქაში, როდესაც საერთაშორისო წესრიგი მოშლილია და ახალი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. დასავლური ინსტიტუტები, რომელთა მიმართაც საქართველო მიილტვოდა, თავად განიცდიან ღირებულებით რღვევას. ერთ მხარეს ვხედავთ დასავლურ სივრცეში განვითარებულ მორალურ კრიზისს, რომელიც სიმბოლურად აისახა ე.წ. ეპშტაინის კუნძულის სკანდალში, სადაც გამოიკვეთა, რომ თავისუფლების უკიდურესად ინდივიდუალისტურმა და უკონტროლო გაგებამ, შესაძლოა მიგვიყვანოს ზნეობრივი საზღვრების სრულ წაშლამდე, ხოლო მეორე მხარეს გვხვდება სივრცე, სადაც სახელმწიფო ძალაუფლება ზღუდავს პიროვნულ თავისუფლებებს და საზოგადოებას მკაცრ კონტროლში ამყოფებს. ასეთ პირობებში გარე მოდელებზე მიბმა კარგავს სანდოობას და ვერ ქმნის იმ ღირებულებით საფუძველს, რომელიც შეიძლება გახდეს ეროვნული განვითარების საიმედო ორიენტირი.

ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე გონების კოლონიზაციის პროცესი. დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა მცდელობა, რომ ქართველი საზოგადოება ჩამოშორებოდა საკუთარ ტრადიციულ ღირებულებებს და ჩასმულიყო ახალ იდეოლოგიურ ჩარჩოებში. თუმცა ეს პროცესი საბოლოოდ ვერ დასრულდა წარმატებით.

**ამის ყველაზე მკაფიო მანიფესტი გახდა ის ისტორიული მოვლენა, როდესაც პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ მასთან გამოსამშვიდობებლად მივიდა თითქმის ორ მილიონამდე ადამიანი. ეს იყო არა მხოლოდ გლოვა, არამედ ეროვნული თვითშეგნების დემონსტრაცია. ამან ნათლად აჩვენა, რომ საზოგადოების უმრავლესობა კვლავ მყარად დგას საკუთარ სარწმუნოებრივ და ეროვნულ საფუძვლებზე. ეს მოვლენა შეიძლება შეფასდეს, როგორც გონების დეკოლონიზაციის ცოცხალი მაგალითი. ამავე დროს, გამოიკვეთა ის უმცირესობა, რომელიც ამ ერთიანობის მიღმა დარჩა.**

სწორედ ასეთ მომენტებში იკვეთება ზღვარი პოლიტიკურ უთანხმოებასა და ღირებულებით გაუცხოებას შორის.



ამ პროცესების გააზრება საჭიროებს ფილოსოფიურ ჩარჩოს. **ისაია ბერლინი** აღნიშნავდა, რომ **„აბსოლუტურ მოთხოვნებს შორის არჩევანის აუცილებლობა ადამიანის მდგომარეობის გარდაუვალი მახასიათებელია“.**

თუმცა ქართული რეალობა არ დგას არჩევანის წინაშე კონკურენტულ ღირებულებებს შორის. აქ საქმე გვაქვს ისტორიულ უწყვეტობასთან და ღირებულებით ერთგულებასთან. ამ კონტექსტში უფრო შესაბამისია **ედმუნდ ბერკის** ხედვა, რომლის მიხედვითაც **„საზოგადოება არის კავშირი არა მხოლოდ ცოცხლებს შორის, არამედ გარდაცვლილებსა და ჯერ არდაბადებულებს შორისაც“.**





ამავე იდეას კიდევ უფრო მკაფიო და კატეგორიულ ფორმას აძლევს **ჟოზეფ დე მესტრი,** რომელიც ამტკიცებდა, რომ **საზოგადოებრივი წესრიგი საჭიროებს ზემდგომ, საკრალურ საყრდენს, რომელიც არ ექვემდებარება რაციონალურ შეთანხმებებს და პოლიტიკური ნების ცვლილებებს. მისი აზრით, სწორედ ასეთი უცვლელი საფუძვლების გარეშე სახელმწიფო ადვილად ხდება არასტაბილური და მოწყვლადი.**



**როჯერ სკრუტონი** თავის ნაშრომში „How to Be a Conservative“ (2014) წერდა: **„ერები კონტრაქტებით არ იქმნება, ისინი იზრდებიან საერთო ტრადიციებიდან და ერთგულებებიდან“.**

ქართული ისტორიული გამოცდილება სწორედ ამ კონსერვატიულ ლოგიკას ადასტურებს. **გრიგოლ ხანძთელი** ამბობდა: **„ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.**



ამ სიბრძნეს **ილია ჭავჭავაძე** აძლევს შეკუმშულ ფორმას — **მამული, ენა, სარწმუნოება, რაც წარმოადგენს ეროვნული არსებობის საფუძველს. შემდგომში ილია II ამ ტრიადას ამყარებს ფორმულით — ღმერთი, სამშობლო, ადამიანი, რითაც ქმნის ღირებულებით იერარქიას.**



ამ ყოველივეს თუ შევაჯამებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ქართველს არა აქვს სხვა სამშობლო. ქართველი, იქნება იგი ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ, მაშინ არის ჭეშმარიტი პატრიოტი, როდესაც საკუთარ პატრიოტიზმს აფუძნებს ამ ფორმულებზე. ამ შემთხვევაში პატრიოტიზმი სცდება პოლიტიკურ მიკუთვნებულობას და ხდება ზეპარტიული და ზეპოლიტიკური ერთგულება სამშობლოსადმი. ამგვარად, ქრება ყველა „პრო“ იდენტობა და ყალიბდება სრული ერთგულება ქართული სახელმწიფოსადმი. სწორედ აქ იბადება პოლიტიკური სიმწიფე, სადაც მოქალაქე საკუთარ არჩევანს აყალიბებს პასუხისმგებლობის საფუძველზე და არა გარე გავლენების მიხედვით.

**პატრიოტიზმის დიქოტომიის დაძლევა იწყება იმ მომენტში, როდესაც სამშობლოს სიყვარული აღარ განისაზღვრება პოლიტიკური განაკვეთით, არამედ ეფუძნება ღირებულებებს, რომლებიც პოლიტიკაზე მაღლა დგას. და სწორედ ამიტომ ილიასეული ახალი ფორმულა გვაძლევს მკაფიო წარმოდგენას: ინამე ღმერთი, დაიცავი სამშობლო, გიყვარდეს ადამიანი!**



**ლევან მეტონიძე,**
სოციოლოგი



# საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორია და ათენის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

**2026 წლის 10-11 აპრილს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიიდან". კონფერენციის ორგანიზატორი საბერძნეთის მხრიდან იყო ათენის ქართული ინსტიტუტი და ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრი „კავკასია", ხოლო საქართველოს მხრიდან გიორგი მაჩაბლის ფონდი და გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება.**

**10 აპრილს, მასპინძლების ინიციატივით, კონფერენციის მონაწილეები გაეცნენ საბერძნეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობის ჩამოყალიბების ისტორიის ძირითად საკითხებს, როგორც თეორიულად, ასევე ათენის შესაბამისი მუზეუმებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ძეგლების დათვალიერებით. სამეცნიერო კონფერენციის სესიაში, რომელიც 11 აპრილს გაიმართა, მონაწილეობდნენ საქართველოს, საბერძნეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები.**

კონფერენცია გახსნა ათენის ქართული ინსტიტუტის დირექტორმა, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრ **„კავკასიის"** ხელმძღვანელმა, ფილოლოგიის დოქტორმა **ავთანდილ მიქაბერიძემ.**

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების პრეზიდენტი, ისტორიის დოქტორი **პაატა სურგულაძე.** მან ათენის ქართულ ინსტიტუტს საჩუქრად წიგნები **„საქართველოს ისტორია"** და **„1832 წლის შეთქმულება"** გადასცა.

კონფერენციას მიესალმა გიორგი მაჩაბლის ფონდის პრეზიდენტი, პროფესორი **ოთარ ჯანელიძე.**

საფრანგეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლესი კვლევების სკოლის (EHESS) დოქტორმა **გიორგი მამულიამ** კონფერენციაზე წარმოადგინა მოხსენება: „საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში".

ფილოლოგიის დოქტორმა, ბაქოს სლავური უნივერსიტეტის ბალკანეთის კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ნურლანა გასიმლი მუსტაფაევამ** წაიკითხა მოხსენება: **„აზერბაიჯან-საქართველოს ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების ისტორიული განვითარება და პერსპექტივები".**

სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უმცროსი მკვლევრის **ჰარუთინ ხუდანიანის** მოხსენება მიეძღვნა თემას **„ივერიის ქართული სათვისტომო სომხეთის რესპუბლიკაში და მისი საქმიანობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991 წლიდან დღემდე)".**

ისტორიის დოქტორის, სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის **ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილის** მოხსენება შეეხებოდა საკითხს: **„ევგენი დალეჯიო დამოუკიდებელი საქართველოს დიპლომატიის სამსახურში".**

პოლონელი პროფესორის **პაველ ოლშევსკის** (ისტორიის ინსტიტუტი, პიოტრკუვ ტრიბუნალსკის აკადემია) მოხსენების თემა იყო: **„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ანტანტის ქვეყნების პოლიტიკაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ – კარდინალური საკითხები".**

ისტორიის აკადემიურმა დოქტორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის აპარატის სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელმა **პაატა სურგულაძემ** კონფერენციას წარუდგინა მოხსენება: **„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – საქართველოს მესამე რესპუბლიკის წინამორბედი".**

ფილოლოგიის დოქტორი **ავთანდილ მიქაბერიძე** კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით: **„რამდენიმე საკითხი საქართველოდან გატანილი განძეულის შესახებ".**

პროფესორმა **ოთარ ჯანელიძემ** თავის მოხსენებაში გააშუქა თემა: **„ორი 9 აპრილი საქართველოს თანამედროვე ისტორიაში".**

ბერძენი ისტორიკოსის, ფილოსოფიის დოქტორის, პოლიტოლოგის, პროფესორ **არისტომენის სიგელაკისის** მოხსენება მეორე მსოფლიო ომში საბერძნეთის მონაწილეობას შეეხებოდა. სამეცნიერო კონფერენციას ესწრებოდნენ ათენში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

მოხსენებების შემდეგ დამსწრე საზოგადოებას კითხვების დასმის შესაძლებლობა მიეცა, რაზეც მათ კონფერენციის მონაწილეებმა ამომწურავი პასუხები გასცეს.

ამის შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მეცნიერებთან ერთად დამსწრე საზოგადოებამაც მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი **დავით კორძაძე.**

კონფერენციის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები ათენში გარკვეული პერიოდულობით გაიმართოს და მას ტრადიციული ხასიათი მიეცეს.

**განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ კონფერენციის ორგანიზატორებს საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩმა ლევან ბერიძემ, მასთან უშუალო შეხვედრისას, მომავალი სამეცნიერო ფორუმების ორგანიზებაში უპირობო მხარდაჭერა აღუთქვა.**

**გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების პრესსამსახური**





# თბილისში მალე შარლ აზნავურის ქუჩა გაჩნდება!



შეხვედრას თბილისის საკრებულოს წევრი **მიხეილ რეხვიაშვილი** და საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნოს უფროსი **მამუკა ბალიაშვილი** ესწრებოდნენ.

**ზურაბ აბაშიძე** სტუმრებს მიესალმა და საფრანგეთთან და სომხეთთან მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს როგორც საფრანგეთთან, ასევე სომხეთთან ისტორიული მეგობრობა აკავშირებს, რაც გამოიხატება როგორც ხალხებს შორის მეგობრულ ურთიერთობაში, ასევე კულტურის მიმართულებით არსებულ კავშირებში.

საფრანგეთის ელჩმა **ოლივიე კურტომ** მადლობა გადაუხადა ზურაბ აბაშიძეს თბილისის საკრებულოს ისტორიულ შენობაში მასპინძლობისთვის და აღნიშნა, რომ დღევანდელი შეხვედრის მიზეზი ხალხებს შორის მეგობრობაა. სომხეთის ელჩმა ასევე ხაზი გაუსვა საქართველოსა და სომხეთს შორის არსებულ მეგობრობას და მჭიდრო თანამშრომლობას. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

თბილისის საკრებულოში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრეს ასევე ერთ-ერთი ქუჩისთვის მსოფლიოში ცნობილი შანსონიეს, სომხური წარმოშობის ფრანგი მომღერლის **შარლ აზნავურის** სახელის მინიჭებაზე. **ზურაბ აბაშიძემ** განაცხადა, რომ თბილისის საკრებულოს შესაბამისი კომისია მზად არის, ეს საკითხი განიხილოს.

**თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ოლივიე კურტოს და სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში აშოტ სმბატიანს შეხვდა.**



# იანვარ-მარტში საქართველოსთვის უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა ჩინეთი იყო, ყველაზე დიდი იმპორტიორი კი – თურქეთი




**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2026 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 71.6 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეულში პირველ ადგილს ჩინეთი იკავებს 203.2 მლნ. აშშ დოლარით, მეორე ადგილზეა – ყირგიზეთი 190.9 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე – რუსეთი 145.5 მლნ. აშშ დოლარით.**

რაც შეეხება იმპორტს, 2026 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70.2 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედიან თურქეთი – 657.3 მლნ. აშშ დოლარით, რუსეთი – 592.5 მლნ. აშშ დოლარითა და ჩინეთი – 487.6 მლნ. აშშ დოლარით.

ამასთან, უწყების ანგარიშით, 2026 წლის იანვარ-მარტში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 364.5 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 21.1 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს ნავთობი და ნავთობპროდუქტები 208.1 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამე ადგილზეა ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები 169.9 მლნ. აშშ დოლარით.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2026 წლის იანვარ-მარტში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 632.2 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 15.3 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებს ნავთობი და ნავთობპროდუქტები 338.6 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამე ადგილზეა ნავთობის აირები და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადები 204.1 მლნ. აშშ დოლარით.







SOS!

# ხიდი თუ უფსკრული?

## როსტევანის ამბავი რუსთაველის თეატრის სცენაზე

**ჟურნალისტიკაში პირველ ნაბიჯებს რომ ვდგამდი, თეატრმცოდნე ნელი შურღაია გავიცანი. ვინც მას იცნობდა, დამეთანხმება, ძალიან რესპექტაბელური, დახვეწილი ინტელექტუალი გახლდათ, ყოფილი ბალერინა იყო და ორთაჭალაში, ბორბალოს ქუჩაზე, სახლში, არავის დაპატიჟებდა შემთხვევით. არ ვიცი, რა ნიშნით ამომირჩია, მაგრამ კვირაში ერთხელ დამირეკავდა, ამა და ამ დროს მოდიო, მეტყოდა, მერე დავჯდებოდით მისი მზიანი მისაღები ოთახის კუთხეში და მესაუბრებოდა თეატრზე, რომელზეც მე მაინცდამაინც დიდი ცოდნა არ მქონდა. კარგად მახსოვს, ძალიან ბევრს საუბრობდა რობერტ სტურუაზე როგორც ქართული თეატრალური სარეჟისორო ხელოვნების მეტრზე. შემდეგ გავიგე, ქალბატონი ნელი, როგორც თეატრმცოდნე, ბატონი რობერტის რეპეტიციებს რომ ესწრებოდა, აკონსპექტებდა თურმე ამ რეპეტიციებს.**

**იმ პერიოდში, 2000-დან 2004 წლამდე, რუსთაველის თეატრში განხორციელებულ ყველა სპექტაკლს დავესწარი, ბოლოს ისე გავთამამდი, რომ ერთ სპექტაკლს რამდენიმეჯერ ვუყურებდი და მაგალითად, „მაკბეტის“, „რიჩარდ მესამის“, „ქალი-გველის“, „ნახვის დღის“ და სხვა სპექტაკლების დიალოგები ზეპირად ვიცოდი.**

**ქალბატონი ნელი თეატრს არ განიხილავდა, როგორც ლიტერატურულ გადამღერებას, როგორც ყოფილ ბალერინას, თეატრი მას მიაჩნდა სხეულის, სივრცისა და მოძრაობის ერთიან სისტემად, განსაკუთრებით აფასებდა სხეულის „დრამატურგიას“, მოძრაობას განიხილავდა, როგორც სხეულის ენას და სწორედ ეს გახდა შემდეგ ექსპერიმენტული თეატრის დედააზრი.**

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ისტორიულად აკადემიური ინსტიტუციაა. ის ეყრდნობა დადგენილ თეატრალურ წესებსა და კლასიკურ სტრუქტურას, ხშირად მიჰყვება ტრადიციული დადგმის სტილს, რომლის მიზანია პიესის ან მხატვრული ნაწარმოების ტექსტის ზუსტად, სტანდარტულად გადმოცემა, მაშინ, როცა ექსპერიმენტული თეატრი არღვევს ტრადიციულ წესებსა და ფორმებს, იყენებს არატრადიციულ სცენოგრაფიას, მოძრაობას, ხმებს, იმპროვიზაციას, ფორმის მხრივაც ხშირად არის ინოვაციური და რისკიანი.

მაგრამ, შეიძლება, ბევრმა არ იცოდეს, რომ თანამედროვე თეატროლოგიაში აკადემიურ თეატრებში განხორციელებული ექსპერიმენტული დადგმები განვითარების ფორმად, ესთეტიკური განახლების გზად და მაყურებელთა კომუნიკაციის ახალ საშუალებად ითვლება, რომლის მიხედვით აკადემიური თეატრი აღარ ნიშნავს მხოლოდ კლასიკური ფორმის დაცვას სცენურ დადგმებში.

რომ ვთქვა მკვეთრად კონსერვატორი ვარ-მეთქი, არ ვიქნები მთლად გულწრფელი, რადგან სიახლეები ძალიან მიყვარს, მაგრამ ვერ უარვყოფ, რომ მომწონს ძველი განათლების სისტემა, ძველი კინემატოგრაფი, მომწონს ის დრო, როცა მედიას მეტი ავტორიტეტი ჰქონდა, ხოლო ბეჭდური პრესა წამყვანი მედიასაშუალება იყო საზოგადოებაში, მაგრამ, როგორც ასეთ შემთხვევებში მხატვრულად იტყვიან ხოლმე, დაჰბერა ახალმა სიომ და წაიღო ყველაფერი ძველი, გაჩერება და სტაგნაცია კი სიკვდილს ნიშნავს, როგორც ბიბლიიდან ლოტის ცოლი, უკან, წარსულისკენ რომ მიიხედა და მარილის ქვად, ანუ უსიცოცხლო ქანდაკებად იქცა, ანდა ილია ჭავჭავაძე რომ ამბობდა: „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემიო“, ასეა თეატრიც და ასეა ცხოვრებაც.

დღეს ბევრი სახელმწიფო და ეროვნული თეატრი მსოფლიოში არსებულ კლასიკურ რეპერტუარს დგამს ექსპერიმენტული ფორმით, იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს – ვიდეო-არტს, პროექციებს, ციფრულ სცენას, არღვევს „რეალისტური“ თამაშის სტილს.

მსგავსი მიდგომები აქვს ევროპულ თეატრებს გერმანიაში, საფრანგეთში, სკანდინავიაში, ბრიტანულ რეპერტუარულ თეატრებში. დღეს აკადემიური თეატრი ხშირად ნიშნავს პროფესიულ სტრუქტურას და არა მხოლოდ კლასიკურ ფორმას. ლატვიური წარმოშობის ბრიტანელ რეჟისორზე პიტერ ბრუკზე, რომელიც 2022 წელს გარდაიცვალა 97 წლის ასაკში და ბოლო პრემიერა 95 წლისამ პარიზში დადგა, კინომცოდნე გოგი გვახარია წერდა: „პიტერ ბრუკმა გააცოცხლა და „გააბრაზა“ არა მარტო თეატრალური ხელოვნება, არამედ თეატრის მაყურებელიცო“. სწორედ პიტერ ბრუკი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ანგარიშგასაწევ ფიგურად თანამედროვე თეატრში, მისი სტილი არის ზუსტად აკადემიურს პლუს ექსპერიმეტულის სინთეზი.

სტურუას სპექტაკლში, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზეა შექმნილი, სცენური მინიმალიზმი და ნაკლები დეკორაციები სჭარბობს, რითაც იერჟი გროტოვსკის „ღარიბი თეატრის“ თეორიას იზიარებს და მთელი ყურადღება მსახიობების სხეულსა და იმ რიტუალებზე აქვს გადატანილი, რომელიც ამა თუ იმ მომენტზე, სასიყვარულო სცენა იქნება თუ სხვა რამ, ყურადღების კონცენტრირებას გულისხმობს. ეს არის კლასიკური ტექსტის გადაქცევა ფიზიკურ და სულიერ ექსპერიმენტად. იმის მიუხედავად, მოგვწონს თუ არა, რობერტ სტურუას მიერ განხორციელებული „ვეფხისტყაოსნის“ სცენური ვერსია, ის შესაძლოა, შეფასდეს, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა თანამედროვე თეატრალურ პროცესში.

სპექტაკლი არ არის მთლიანად „ვეფხისტყაოსნის“ სცენირება. წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ეპიზოდი, სადაც რეჟისორმა დაშალა სიუჟეტი, გადააქცია სიმბოლოებად და მეტაფორებად, შექმნა უფრო ე.წ ფილოსოფიური სცენა, ვიდრე ისტორიული თხრობა, რითაც ქართულ თეატრში შემოიტანა ევროპული ავანგარდის დონე, სხეული აქცია მთავარ გამომსახველობით საშუალებად, კლასიკური ტექსტები გაათავისუფლა „სკოლისეული“ წაკითხვისგან. ამ თვალსაზრისით, 87 წლის „ახალგაზრდამ“ ქართველ საზოგადოებას, რომელიც სიტყვიერად მიილტვის ევროინტეგრაციისკენ, ე.წ. კულტურული შოკი მიაღებინა და ინტელექტუალურ ექსპერიმენტთან ერთად ვიზუალური რევოლუციაც მოახდინა.

მაყურებელს ადრე მოსწონდა რობერტ სტურუას „კავკასიური ცარცის წრე“, „მეფე ლირი“, „მაკბეტი“ და სხვები, რომლებსაც არ აკლდათ სცენური ირონია და გროტესკი, თუმცა ჰქონდათ მკაფიო სიუჟეტი და კლასიკური დრამატურგია, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“, პირადად მე, როგორც მაყურებელმა, ვერ ვიპოვე ემოციური საყრდენი, რის გამოც ლეგიტიმურად გამიჩნდა შინაგანი პროტესტი.



მე არ გახლავართ თანამედროვე ევროპელი მაყურებელი და თუ მსჯელობა გაიმართება, სადაც ერთი მხარე დაამტკიცებს, რომ თეატრი უნდა იყოს ექსპერიმენტი და ფორმის თავისუფლება, ხოლო მეორე მხარე იტყვის, რომ თეატრი უნდა იყოს კომუნიკაცია და მაყურებელთან სრული კავშირი, მე მეორეს ავირჩევდი.

სავარაუდოდ, მშვენივრად იცოდა რობერტ სტურუამ, რომ ქართველი მაყურებელი არ იყო მზად ამ ტიპის ექსპერიმენტისთვის, მაგრამ მაინც გაბედა და გარისკა, რადგან ის არ მუშაობს იმ მიზნით, რომ თეატრი ყველას ერთნაირად, პირდაპირ და მარტივად უნდა ესმოდეს. ამიტომ ის წარმოადგენს არა ამბავს, არამედ აზრს, სადაც მაყურებელმა შეიძლება დაინახოს პოლიტიკური შრე, მეორემ – ფილოსოფიური ხაზი, მესამემ – ემოციური და წამოყვირებული, მეოთხემ – საერთოდ ვერაფერი. ამიტომ არსებობს თეატრი, რომელმაც უნდა აღზარდოს მაყურებელი და არა გული მოფხანოს ვინმეს.

სპექტაკლიდან გამოსული ზოგი ამბობდა, აზდაკს ჰგავს როსტევანი „კავკასიური ცარცის წრიდანო“, ხო, ალბათ და სწორედ ეს არის ის გროტესკი და ირონია, რომელიც სტურუას ენა და ხელწერაა თეატრში.

საერთოდ კი, მე რომ ვყოფილიყავი დამდგმელი რეჟიორი, ექსპერიმენტული, მინიმალური ანტურაჟის ნაცვლად, გამოვიყენებდი არქაული ტიპის დეკორაციებს სცენაზე, მოვრთავდი სცენას განსაკუთრებული ვინტაჟურობით და კლასიკური არქაიზმის იდუმალი ელემენტებით, რათა მაყურებელი შემეყვანა ემოციაში, ამყოლოდა აზროვნებაში, ჩანაფიქრში, ჩავარდნილიყო სულიერ ექსტაზში და თუ მაინცდამაინც, ამ ფონზე გამოსულიყო მოშიშვლებულმკერდიანი თინათინი, ანდა ექოსავით შორიდან მოყვირალი როსტევანი და ჩემთვის ზედმეტად ფამილარულად მოჟესტიკულირე ავთანდილი, დავინდობდი მაყურებელს, ეს იქნებოდა უფრო „მარტივი“ და შედარებით უფრო უმტკივნეულო სანახაობა, ვიდრე ისეთი შოკი, რომელიც მოულოდნელად თავში უროს ჩარტყმასავით გახდა სხვანაირი მოლოდინით სულგანაბული მაყურებლისთვის, თუმცა რობერტ სტურუამ მაინც სრული „ქირურგიული“ ჩარევა აირჩია, გადაწყვიტა მაყურებლის სიმშვიდის დარღვევა, მისი გამოღვიძება და გამოფხიზლება ახალი იდეებითა და სიმბოლოებით...

მაგრამ მაინც მთავარი შოკი – შიშველიფად ჩაცმული თინათინი, რომელიც ხმამაღლა გაიძახის და ეტმასნება ავთანდილს, რით დავსაჯოთ რეჟისორი ამ „დანაშაულისთვის“?

ქართველები არ გახლავართ კავკასიის მთებში გაჩხერილი ჩლუნგი აბორიგენები, არ ვართ კულტურულად ჩამორჩენილი საზოგადოება და ჩვენც ისევე გვტკივა, როგორც თურმე ევროპელ მაყურებელს შექსპირის მოდერნისტულ დადგმებზე, ბრეხტის პოლიტიკურ თეატრზე, თანამედროვე პოსტდრამატულ სპექტაკლებზე...

რობერტ სტურუა რომ გადის, იგივე გზა გაუვლია შოკისმომგვრელ ვსევოლოდ მეიერჰოლდს, „ცივი თეატრის“ ფუძემდებელს ბერტოლდ ბრეხტს, „სასტიკი თეატრის“ მამას ანტონინ არტოს, იეჟი გროტოვსკიზე წერდნენ თურმე, მან მოსპო თეატრი, რომ „ეს უკვე აღარ იყო თეატრი“.

მაგრამ ეს იყო წარსულ წლებში. გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული 70-იან წლებამდე მიმდინარეობდა ეს პროცესები. ჩვენთან ეს მოხდა მოგვიანებით, გასული საუკუნის ბოლოდან დაიწყო და 21-ე საუკუნის აგერ, 20-იან წლებში გავდივართ კულტურულ კათარზისს. 87 წლის რეჟისორი აღარ აკეთებს თეატრს მხოლოდ სიუჟეტისთვის.

მან ექსპერიმენტი განახორციელა არა იმიტომ რომ არ უყვარს მაყურებელი, არამედ იმიტომ, რომ მისთვის თეატრი არის გამოწვევა, აზროვნებაზე წიხლის დაჭერა და არა კომფორტი.

რობერტ სტურუამ გასწია რისკი, რადგან მან იცის, რომ თეატრი არ არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ ის გაიგოს ყველამ ერთნაირად, მაშინ თეატრი იქნებოდა მუზეუმი, არადა ის არის, როგორც უკვე ვთქვი, აზროვნების ფორმა, რომელიც ცვლის საზოგადოებრივ აზრს და პოლიტიკურსაც ხანდახან, რადგან ხელოვნება არის არა ისტერიკის, გაბუტვის ფორმა, არამედ აზროვნების. ადამიანის ბუნებას მიჰყვება ხელოვნება და კონკრეტულად, თეატრი.

გამოქვაბულის ადამიანები წინა საღამოს ნადირობის სცენების თეატრალიზებულ წარმოდგენებს რომ დგამდნენ ცეცხლის პირას, მეორე დღეს პრემიერას „თამაშობდნენ“ უკვე უზარმაზარი მამონტის წინაშე. შემდეგ დროებში არისტოტელე ამბობდა: თეატრი არის ადამიანური ქცევის ანალიზიო, ანუ თეატრი აჩვენებს, რა არის ადამიანი, რა არის ძალაუფლება და რა არის კონკრეტული დროის, დიახ, დროის მორალი.

სტურუას სპექტაკლმა სცენურ წარმოდგენასთან შერწყმული ჩეტ ბეიკერის ჯაზ-კომპოზიციის, ანუ სმენითი შოკის თანხლებით აჩვენა ჩვენი საზოგადოების შიში, შოკი და კათარზისი, მზადყოფნა იმისთვის, რომ რაღაცისთვის ღირს გაერთიანება, ღირს, რომ დავიცვათ ეროვნული სიწმინდეები ცნობიერად და მატერიალურად და როცა ვამბობთ, რომ ვართ დამოუკიდებელი, თავისუფალი ერი და მივილტვით ევროპული, განვითარებული ცივილიზაციებისაკენ, განვითარება ყოველთვის ნიშნავს ახალს, ხოლო თეატრში სხეულის სიშიშვლე ხშირად მიუთითებს არა ეროტიკაზე, არამედ ადამიანის დაუფარავ, შეუფუთავ, შიშველ და დაუცველ მდგომარეობაზე...

* * *

**გამოქვაბული ვახსენე და პლატონის გამოქვაბულის მითი გამახსენდა.**

**ალეგორია ამბობს: წარმოიდგინეთ ადამიანები, რომლებიც გამოქვაბულში არიან გამოკეტილები და გარეთ გახედვის შესაძლებლობა არა აქვთ. გამოქვაბულში ანთია ცეცხლი და იქ მოძრავი ადამიანების ჩრდილები ირეკლება ამ გამოქვებულის კედლებზე, ამიტომ მთელი სამყარო ამ ადამიანებისთვის აჩრდილებს წარმოადგენს, ისინი ხედავენ რეალური სამყაროს აჩრდილებს და ჰგონიათ, რომ სამყარო სწორედ ეს აჩრდილებია და ჩნდება კითხვა: თუ ერთი მათგანი გააღწევს რეალურ სამყაროში, რა მოხდება მერე? მოხდება ის, რომ გარეთ გასული თავიდან მზის სხივებს დაინახავს და როცა გააცნობიერებს, სინამდვილეში როგორი ყოფილა რეალურად სამყარო, მოუნდება დაბრუნდეს და თანამოძმეებიც გაიყვანოს გარეთ. საბოლოოდ ფილოსოფოსი ასკვნის: ვინც მოინდომებს იმ ადამიანების გაყვანას ახალ, რეალურ სამყაროში, ეს ადამიანები მზად იქნებიან სინათლეზე მათი გამყვანი უყოყმანოიდ მოკლანო.**

მე ვიცი, არ ვართ დღეს მზად თეატრალური თუ სხვა სახის ინტერპრეტაციებისთვის და არც „ვეფხისტყაოსანი“ არის შემთხვევითი და მაგალითისათვის გამოსაყენებელი შესაძლებლობა, მაგრამ ერთი კი ცხადია: ვერც თეატრალური წარმოდგენა დააკლებს რაიმეს „ვეფხისტყაოსანს“ და ჩვენც უნდა შევეგუოთ იმას, რომ თუ გვინდა მზის დანახვა, ქვები და ღორღი არ უნდა გამოვიყენოთ „მზეზე გამყვანის“ ჩაქოლვის იარაღად. რეჟისორმა სპექტაკლში შეულამაზებლად თქვა სათქმელი და მაყურებელს არ დაუტოვა არჩევანი, როგორც ზემოთ ვინატრე, ნელ-ნელა „შესულიყო“ მაყურებლის როლში, არამედ აიძულა ეფიქრა, ეაზროვნა, გონებისთვის ძალა დაეტანებინა და ღრმა ძილქუშისგან გამოეღვიძებინა.

**დიახ, მე ვფიქრობ, რეჟისორს, რომელიც ამხელა „ციხე-კოშკს“ აშენებდა, იქვე უნდა აეგო ხიდი თავის თავსა და მაყურებელს შორის, მაგრამ მან დატოვა მაყურებელი ფართო ხიდის კი არა ბეწვის ხიდის გარეშე და სცენიდან უბრძანა: – გადმოხტი!**

**მე, მაგალითად, ვერ „გადავხტი“!**



**ირანდა კალანდაძე**

# ვინ შეძლებს ჰეზბოლას განეიტრალებას?!

**ისრაელისა და ამერიკის დაპირისპირება ირანთან ორ ფრონტზე მიმდინარეობს. კონფლიქტი რომ დაიწყო, ლიბანის შიიტურმა დაჯგუფება ჰეზბოლამ ირანს დაუჭირა მხარი. ჰეზბოლა დღემდე არ წყვეტს რაკეტების გაშვებას ისრაელის მიმართულებით. საპასუხოდ, ისრაელმა ჰეზბოლას წინააღმდეგ დიდი სამხედრო ოპერაცია წამოიწყო. ისრაელის სამხედრო ძალები სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე შეიჭრა, რომელსაც ჰეზბოლა აკონტროლებს. ისრაელის არმია გამუდმებით ბომბავს ჰეზბოლას დედაქალაქ ბეირუთშიც და ქვეყნის სამხრეთშიც. ცხადია, კონფლიქტის ორივე მხარე ზარალდება, თუმცა, ლიბანი უფრო მეტად, მატერიალურადაც და დაღუპულთა რაოდენობითაც.**



ლიბანში, უკვე, რამდენიმე წელია, ეკონომიკური კრიზისია. მიმდინარე კონფლიქტი, ფაქტობრივად, ბოლომდე ანადგურებს ლიბანის ეკონომიკას. ისრაელი თანახმაა, შეაჩეროს ლიბანზე შეტევა, თუმცა, ერთი პირობით: ჰეზბოლამ უარი უნდა თქვას ისრაელის წინააღმდეგ შეტევებზე, რის გაკეთებას ჰეზბოლა არ აპირებს. ასე რომ, მდგომარეობა ჩიხშია შესული. თავად ლიბანის ხელისუფლება მოწადინებულია, როგორმე, შეაჩეროს კონფლიქტი, მაგრამ, მიზეზთა გამო, მთავრობას ჰეზბოლაზე გავლენა არა აქვს. მოგეხსენებათ, ლიბანი მრავალ კონფესიური ქვეყანაა, რაც დიდ პრობლემას ქმნის. გასული საუკუნის 80-იან წლებში, ამის გამო გაჩაღდა ქვეყანაში სამოქალაქო ომი. სწორედ, ამიტომაა ლიბანის პოლიტიკური მმართველობა გაყოფილი სხვადასხვა კონფესიებს შორის. ქვეყნის სადავეების ნაწილი შიიტებს უჭირავთ ხელში, რომელთაც ჰეზბოლა მართავს.

თავად ჰეზბოლა ჰიბრიდული ძალაა, რომელსაც დიდი პოლიტიკური და სამხედრო გავლენა აქვს ქვეყანაში. ამავე დროს, ჰეზბოლაზე დიდი გავლენა აქვს ირანს. ფაქტობრივად, ჰეზბოლა ირანიდან იმართება. ამიტომ ეურჩება ჰეზბოლა ლიბანის მთავრობას. ისრაელს ჰეზბოლას განიარაღება სურს და მის კაპიტულაციას ითხოვს. ამ მიზნით შეიჭრა ისრაელის სამხედრო ძალები სამხრეთ ლიბანში. ისრაელს, აქ, უსაფრთხოების ბუფერული ზონის შექმნა სწადია, მაგრამ, ლიბანში დიდი ადამიანური მსხვერპლის გამო, დასავლეთის მხრიდან, ისრაელზე დიპლომატიური ზეწოლა გაიზარდა. ევროკავშირი და თურქეთი, ამის გამო, ისრაელს დაუპირისპირდა. იტალიამ, ესპანეთმა და საფრანგეთმა, უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში, ისრაელთან ურთიერთობა გაწყვიტეს. ზეწოლა ხორციელდება ტრამპის ადმინისტრაციაზეც, რომელმაც, რაც არ უნდა უცნაური იყოს ეს, ლიბანსა და ისრაელს შორის შუამავლის როლი მოირგო. ამერიკა ლიბანისა და ისრაელის მოლაპარაკებების მაგიდასთან დასმას ეცადა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია.

სამი ათეული წლის განმავლობაში პირველად, ვაშინგტონში, ერთმანეთს ისრაელისა და ლიბანის წარმომადგენლები შეხვდნენ. შეხვედრას, რომელსაც მსოფლიოს პრესამ ისტორიული უწოდა, ამერიკის სახელმწიფო მდივანი, მარკო რუბიო ედგა სათავეში. პირველ შეხვედრაში ისრაელისა და ლიბანის ხელმძღვანელობის მაღალი რანგის პირები არ მონაწილეობდნენ. მათ დელეგაციებს დიპლომატები წარმოადგენდნენ, მაგრამ ორივე მხარის ლიდერები პოზიტიურად უყურებდნენ პროცესს.

ლიბანის პრეზიდენტმა **ჯოზეფ აუნმა** იმედი გამოთქვა, რომ ვაშინგტონში ისრაელისა და ლიბანის ელჩებს შორის შეხვედრები ლიბანის ტანჯვის დასრულების დასაწყისი გახდება. შეხვედრა ექვს საათს გაგრძელდა და საკმაოდ იმედიანად დამთავრდა. დღეს აღმოვაჩინეთ, რომ ერთსა და იმავე მხარეს ვდგავართ. ეს არის ყველაზე პოზიტიური შედეგი, რის მიღწევაც შეგვეძლო.

ორივე მხარე ვერთიანდებით ლიბანის ოკუპანტისგან გათავისუფლების საქმეში, რომელსაც ირანი მართავს და რომელსაც ჰეზბოლა ჰქვია, განაცხადა ისრაელის დელეგაციის ხელმძღვანელმა. მარკო რუბიომ კი თქვა, რომ საკითხის ყველა სირთულე ექვს საათში ვერ დაიძლევა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, შევქმნათ ჩარჩო, რომლის შიგნით, შეიძლება, რაღაც პოზიტიური მოხდეს. ბოლოს ითქვა, რომ ასეთი შეხვედრა მალე გამეორდება.

**თითქოს, ეს კარგი ამბავი ყველას უნდა გახარებოდა, მაგრამ, არა ჰეზბოლას, რომლის ლიდერმა ნაიმ კასემმა ლიბანის მთავრობას ისრაელთან პირდაპირი მოლაპარაკების შეწყვეტისკენ მოუწოდა. ის სამოქალაქო ომითა და კრიზისის გამოწვევით დაემუქრა ქვეყანას. დედაქალაქ ბეირუთში, ჰეზბოლას მხარ დასაჭერად, მრავალათასიანი დემონსტრაციები გაიმართა. ამავე დროს, ისიც ცნობილია, რომ ჰეზბოლას ქვეყნის სამოქალაქო ომამდე მიყვანა შეუძლია.**

**აქ, სხვა კითხვაც ისმის: ეყოფა თუ არა ძალა, ლიბანის დანარჩენ მოსახლეობასა და მის მთავრობას, ჰეზბოლას გასანაეიტრალებლად?**



# ილონ მასკის ხელოვნური ინტელექტი „სძულს“!

**ფორბსის 2026 წლის აპრილის შეფასებით, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მდიდარი ადამიანის, ილონ მასკის, მთლიანი ქონების ღირებულება 806 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამბობენ, რომ ეს ექსცენტრიული ბუნებისა და განსაცვიფრებლად წარმატებული ბიზნესმენი ახალი იდეების ნამდვილი გენერატორია. მასკი, 1971 წელს, სამხრეთ აფრიკის ქალაქ პრეტორიაში დაიბადა. მამამისი, წარმოშობით ინგლისელი ინჟინერი იყო. დედა, კანადელი მოდელი და დიეტოლოგი. ილონის ძმა, კიმბალ მასკი, რესტორნების მფლობელია ამერიკაში. და კი, ტოსკა მასკი, მოდელი და კინორეჟისორი. ბავშვობაში, მშობლები რომ ელაპარაკებოდნენ, ილონი, სადღაც, შორს იყურებოდა ხოლმე. ეგონათ, ბავშვს ყურთ აკლდა, მაგრამ ექიმებმა პატარა ილონს აუტიზმის მსუბუქი ფორმა დაუდგინეს. ბავშვობაში, თურმე, ბევრს კითხულობდა. 10 წლის რომ იყო, კომპიუტერული ტექნიკით დაინტერესდა. დამოუკიდებლად ისწავლა პროგრამირება და, 12 წლის ასაკში, ვიდეოთამაშის კოდი დაწერა, რომელიც 500 დოლარად გაყიდა. კაცობრიობის შეცვლისა და ადამიანის ცხოვრების გამარტივების იდეები პატარაობიდანვე გაუჩნდა.**

ძალიან განსხვავებული ბავშვი იყო და, ამიტომ, ხშირად ხდებოდა ძალადობის მსხვერპლი. ერთხელ, ისე სცემეს, გონება დაკარგა და ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. 8 წლის იყო, მშობლები ერთმანეთს რომ დაშორდნენ. დედა კანადაში წავიდა საცხოვრებლად, ილონი მამასთან დარჩა სამხრეთ აფრიკაში. სკოლა რომ დაამთავრა, დედამისთან გადავიდა კანადაში. უმაღლესი განათლება პენსილვანიის უნივერსიტეტში მიიღო ეკონომიკასა და ფიზიკაში. 1995 წელს, ფიზიკის შესასწავლად, სტენფორდის უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩააბარა. სწორედ, მაშინ მოიაზრა, რომ ინტერნეტს, საზოგადოების შესაცვლელად, გაცილებით უფრო დიდი რესურსი ჰქონდა, ვიდრე, ეს ზედაპირზე ჩანდა. სწავლა შეწყვიტა და კომპანია Zip2 დაარსა, რომელიც რუკებითა და კატალოგებით ამარაგებდა ონლაინ გაზეთებს.

1999 წელს კომპანია **Compaq**-მა **Zip2** 307-მლნ დოლარად შეიძინა. მიღებული თანხით, მასკმა ახალი კომპანია **X.com** შექმნა, რომელიც ელ-ფოსტით გადახდებსა და ინტერნეტ-ფინანსურ მომსახურებას უზრუნველყოფდა. ერთ წელიწადში **X.com**-ი კომპანია **Confinity**-სთან გაერთიანდა, რომელიც ფულის გადარიცხვის ინტერნეტ-სერვისზე მუშაობდა. 2001 წელს გაერთიანებულ კომპანიას **PayPal** ეწოდა. ერთი წლის შემდეგ, **PayPal** მილიარდნახევარ დოლარად **eBay**-მ შეიძინა, საიდანაც, ილონ მასკს 165 მილიონი დოლარი შეხვდა. ილონ მასკს, სახელი, მაინც, ორმა კომპანიამ გაუთქვა: ელექტრომობილების მწარმოებელმა **Tesla**-მ და კოსმოსური ტექნოლოგიების კომპანია **SpaceX**-მა. **NASA**, სწორედ, ამ კომპანიის რაკეტებით უშვებს ასტრონავტებს კოსმოსში. მასკს სჯერა, რომ კაცობრიობის გადასარჩენად და არსებობის გასახანგრძლივებლად კოსმოსის ათვისებაა აუცილებელი. ის პლანეტა მარსის ათვისებით არის დაინტერესებული, სადაც, მწვანე სათბურის განთავსებას და პლანეტის შესწავლას გეგმავს.

**SpaceX**-ის მეშვეობით, მასკმა კომპანია-**Starlink**-ი შექმნა, რომლის მიზანი სამყაროში კოსმოსური ინტერნეტის გავრცელებაა. **Starlink**-მა დედამიწის ორბიტაზე ოთხი ათასზე მეტი თანამგზავრი გაუშვა, რომელიც სამყაროს ინტერნეტით უზრუნველყოფს. 2015 წელს, მასკმა, პარტნიორებთან ერთად, კომპანია **OpenAI** დააარსა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე მუშაობს, მაგრამ, 2018 წელს, მან ეს კომპანია დატოვა, რადგან, ერთგვარი ეჭვის თვალით უყურებს ხელოვნურ ინტელექტს:

**შიშობს, თუ ხელოვნური ინტელექტი ადამიანებზე მძლავრ უნარებს შეიძენს და მასზე გონიერი გახდება, ეს კაცობრიობის გადაშენებას გამოიწვევს. ადამიანის ტვინისა და კომპიუტერის დაკავშირებაზე მუშაობს მასკის კომპანია Neuralink-ი, რომლის ტექნოლოგია მიზნად ისახავს ისეთი დაავადებების მართვას, როგორიცაა ალცჰაიმერი, პარკინსონი და ეპილეფსია.**

**Neuralink**-მა უკვე ჩაატარა კვლევა ცხოველებსა და ადამიანებზე. ამჟამად კი, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, მიკრო ჩიპის დახვეწაზე მუშაობს. 2022 წელს, მასკმა სოცმედია **Twitter**-ი შეიძინა, სახელი გადაარქვა და **X** დაარქვა.

2024-წელს, ილონ მასკმა ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატის, დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიას დაუჭირა მხარი: მისმა დაარსებულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, **AmericaPAC**-მა, რესპუბლიკური პარტიის მხარდასაჭერად, 150 მილიონამდე დოლარი დახარჯა. ტრამპმა კი, მას სახელდახელოდ შექმნილი, ეფექტიანობის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ჩააბარა.

თანამდებობამ მასკს დათვური სამსახური გაუწია, რადგან, დეპარტამენტმა ათასობით ამერიკელი მოქალაქე სამსახურიდან გაუშვა, რამაც ილონ მასკი ამერიკაში ყველაზე საძულველ პიროვნებად აქცია. მალე, მას ტრამპთან ურთიერთობაც დაეძაბა და თანამდებობა დატოვა. ილონ მასკი სამჯერ იყო ქორწინებაში, თუმცა, ამბობენ, არაოფიციალურ ურთიერთობებსაც არ ერიდებოდაო. მისი პირველი მეუღლე კანადელი მწერალი, ჯასტინ უილსონი იყო. მათ ერთმანეთი კანადაში, უნივერსიტეტში სწავლისას გაიცნეს.

2002 წელს, წყვილს პირველი შვილი ალექსანდრე ნევადა შეეძინა, მაგრამ ბავშვი 10 კვირის ასაკში გარდაიცვალა. ტრაგედიამ ილონსა და მის მეუღლეს შორის დისტანცია წარმოშვა, თუმცა, მეორე შვილის ყოლაზე უარი არ უთქვამთ. მათ ხელოვნური განაყოფიერების ცენტრს მიმართეს და 2004 წელს ტყუპის, გრიფინისა და ზეივიერის მშობლები გახდნენ. ორი წლის შემდეგ, წყვილს კიდევ სამი შვილი შეეძინა, მაგრამ ოჯახურმა ბედნიერებამ დიდხანს ვერ გასტანა: ილონი მეუღლეს მუშაობას უკრძალავდა და მოითხოვდა, რომ მხოლოდ დიასახლისი და კარგი დედა ყოფილიყო. 2008 წელს, წყვილი ერთმანეთს დაშორდა. მასკის მეორე მეუღლე ინგლისელი მსახიობი ტალულა რაილი იყო. 2018 წელს, მასკი მესამეჯერ დაქორწინდა. ამჯერად, მისი მეუღლე კანადელი მომღერალი, სასცენო სახელით, **Grimes**-ი გახდა. მათ სამი შვილი შეეძინათ. მასკმა სამივეს უცნაური ციფრული სახელები დაარქვა. ერთ-ერთი მათგანი მედიის ყურადღების ქვეშ მოექცა, როცა ილონმა ის ოვალურ ოფისში მიიყვანა.

2022 წელს, წყვილი განქორწინდა. მასკს არაოფიციალურ ურთიერთობაში კიდევ ორი შვილი ჰყავს. სულ, თოთხმეტი შვილის მამაა. მასკი თავის შვილებს „ლეგიონს“ უწოდებს და სურს, რაც შეიძლება, მეტი მაღალ ინტელექტუალური ადამიანი დატოვოს ამქვეყნად. ილონ მასკი მაღალი შობადობის მომხრეა. ერთხელ უთქვამს, ხალხს თუ შვილები არ ეყოლა, ცივილიზაცია დაიღუპებაო. შვილებისთვის, მასკმა კერძო სკოლა დააარსა, სახელად, **Ad-Astra**, ანუ, „ვარსკვლავებთან“.

სკოლა, თავიდან, მხოლოდ მის ნაშიერზე იყო გათვლილი, თუმცა, ახლა იქ 40-ზე მეტი ნიჭიერი ბავშვი სწავლობს. სკოლაში ხელოვნური ინტელექტის სისტემების პროექტირება, რობოტების შექმნა და ბიზნესის ნულიდან დაწყება ისწავლება.

**მედიის ყურამდე მივიდა, რომ მასკის ერთ-ერთი შვილი ლგბტ საზოგადოების წევრია. 18 წლის რომ გახდა, ზეივიერ მასკმა, ოფიციალურად შეიცვალა სქესიც და სახელიც. ახლა მას ვივიენ უილსონი ჰქვია. ამაზე, ილონ მასკმა გაბრაზებულად განაცხადა, რომ მისი შვილი, თავიდანვე, ჰომოსექსუალი და აუტისტი იყო, და ყველაფერი ზეივიერის დედას და მის აღზრდას დააბრალა. მამა-შვილმა, ამ აღიარების შემდეგ, ერთმანეთთან კონტაქტი გაწყვიტა.**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

**POSTV**

# BBC-ის მიზანმიმართული დეზინფორმაცია

## ქვეყნის წინააღმდეგ მტრული მიზნების მისაღწევად!..



(მეოთხე გვერდიდან)

სუს-ის ანგარიშში ნათქვამია, რომ, 2024 წლის 28 ნოემბრის შემდგომი დღეების განმავლობაში საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროდან მოპოვებული დოკუმენტების მიხედვით, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადების მიერ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში გადაყვანილი 54 ადამიანიდან მსუბუქი ინტოქსიკაცია აღენიშნებოდა ხუთ პირს, რომლებიც მეორე დღესვე გაეწერნენ სამედიცინო კლინიკებიდან. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ 2024 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში, კერძოდ, 4-5 დეკემბრის ღამით, მასების მართვისთვის გამოყენებულ იქნა ნივთიერება „ქლორობენზილიდინ მალონონიტრილი", რომლის გამხსნელადაც გამოიყენეს ნივთიერება „პროპილენ გლიკოლის" ხსნარი, აღნიშნული ნივთიერებებიდან არცერთი არ განეკუთვნება აკრძალულ ნივთიერებათა კატეგორიას. ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის მიხედვით, გამოძიების მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტიდან ამოღებული ნივთიერებები იყო:

1. ქიმიური ნივთიერება „ქლორობენზილიდინ მალონონიტრილი";
2. ქიმიური ნივთიერება – ტრიქლორეთილენი (ამ შემთხვევაში საუბარია ჩამოწერილ ნაშთზე 880 ლიტრის ოდენობით);
3. ქიმიური ნივთიერება – პროპილენგლიკოლი. გამოძიებისთვის საინტერესო პირებიდან ვერ მოხერხდა ერთადერთი მოწმის გამოკითხვა, რომლის ინფორმაციასაც მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა BBC-ს მიერ მომზადებული სიუჟეტის ავტორის მოსაზრებები, რომელიც ფიგურირებს 4 ოქტომბრის საქმეში და უკავშირდება ასაფეთქებელი ნივთიერების, ტროტილის შეძენა-შენახვის ფაქტს", – ნათქვამია ანგარიშში.

სუს-ი აღნიშნავს, რომ გამოძიების მიერ მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები იძლეოდა დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ BBC-ს ფილმში გახმოვანებული ინფორმაციები საქართველოში ე.წ. ქიმიური იარაღის, „კამიტის" მომიტინგეთა წინააღმდეგ გამოყენების შესახებ არის მიზანმიმართული დეზინფორმაცია.

**„იგი ემსახურებოდა საქართველოს ინტერესების დაზიანებას, რაშიც საქართველოს მოქალაქეებიც იყვნენ ჩართული და, ეკჩ-ს ფილმის ავტორებთან ერთად, მათი მოქმედებები ატარებდა კარგად დაგეგმილ, ორგანიზებულ და კამპანიურ ხასიათს საქართველოს წინააღმდეგ კონკრეტული მტრული მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აგრძელებს გამოძიებას მხოლოდ იმ შესაძლო დანაშაულის შესახებ, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 319-ე მუხლით არის გათვალისწინებული და უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარებას გულისხმობს",** – ნათქვამია დოკუმენტში.

---

## თავდაცვის სამინისტრო:

### დაკავებულია პირი, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისგან თავის არიდებაში ეხმარებოდა



## ასეთი დანაშაულისთვის 7 წელიწადი ძალიან ცოტაა!

**დაკავებულია პირი, რომელიც, დანაშაულებრივ კავშირში მყოფ პირებთან ერთად, გარკვეული ფინანსური სარგებლის სანაცვლოდ, ყალბი ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი სამედიცინო დოკუმენტების გამოყენებით, დახმარებას უწევდა საქართველოს მოქალაქეებს წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისგან თავის არიდებაში,** – ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ **არჩილ ნიკოლეიშვილმა** განაცხადა.



მისივე განმარტებით, **თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, დაკავებულ იქნა 1959 წლის 25 ივნისს დაბადებული ერთი პირი – ვ. შ., რომელიც დანაშაულებრივ კავშირში მყოფ პირებთან ერთად, გარკვეული ფინანსური სარგებლის სანაცვლოდ, ყალბი ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი სამედიცინო დოკუმენტების გამოყენებით, დახმარებას უწევდა საქართველოს მოქალაქეებს წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისგან თავის არიდებაში.**

**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმომადგენლის განცხადებით, გამოძიებით დადგინდა, რომ ვ.შ.-მ დახმარება გაუწია 30-ზე მეტ პირს და თაღლითურად დაეუფლა ჯამში 100 000 ლარზე მეტ თანხას. მისი პირადი ჩხრეკის დროს ამოღებულია 6168,50 ლარი, ხოლო საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას – 105 000 აშშ დოლარი, 50 000 ლარი და ნარკოტიკული საშუალება – მარიხუანა დაფასოებული სახით.**

ბრიფინგზე გაკეთებული განცხადების თანახმად, დაკავებულ პირთან და მის თანამზრახველებთან, კანონით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებები, მოსამართლის განჩინების საფუძველზე რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. როგორც აღინიშნა, ამ სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებები, რის შედეგადაც შესაძლებელია გაფართოვდეს დამნაშავე პირთა წრე.

**საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქ/პუნქტით და 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7 წლამდე ვადით.**



---

## „ისლამური სახელმწიფოს" რიგებში ჩარიცხულებმა საქართველოდან გაპარვის ნაცვლად, 15-წლიანი ციხე გაინაღდეს!



**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრისა და სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტსა და აჭარის რეგიონში ერთობლივად ჩატარებული სპეციალური ღონისძიების ფარგლებში, ქალაქ ბათუმში დაკავებულია უცხო ქვეყნის ერთი და საქართველოს ერთი მოქალაქე,** – განაცხადა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილე **ლაშა მაღრაძემ.**



მისი თქმით, კონტრტერორისტული ცენტრისთვის აღნიშნული პირების შესახებ ცნობილი იყო.

**„ასევე წინასწარ ვფლობდით ინფორმაციას მათი საქართველოში შემოსვლისა და შემოსვლის მიზნობრიობის შესახებ. ისინი საქართველოში ცალ-ცალკე ჩამოვიდნენ და დაბინავდნენ ნაქირავებ ბინაში. შემოსვლის დღიდანვე ორივე მათგანი იმყოფებოდა კონტრტერორისტული ცენტრის ოპერატიული კონტროლის ქვეშ, რაც მოსამართლის განჩინებების საფუძველზე ხორციელდებოდა.**

**გამოძიებით დადგენილია, რომ აღნიშნული პირები გაწევრიანდნენ ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს" რიგებში, დადეს ერთგულების ფიცი (ე.წ. ბაიათი), რაც ასახეს ვიდეოფაილის სახით და გადაუგზავნეს ორგანიზაციის ლიდერებს, რითაც უპირობო მორჩილება გამოუცხადეს მათ. ისინი მზად იყვნენ „ისლამური სახელმწიფოს" ლიდერების ნებისმიერი სახის დავალების შესასრულებლად. გამოძიებით ასევე დგინდება, რომ დაკავებულები საქართველოდან მიემგზავრებოდნენ სხვა ქვეყანაში, სადაც უნდა შეერთებოდნენ „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებს.**

**საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობები, დაურეგისტრირებელი სიმბარათები, მობილური ტელეფონები, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს" სიმბოლიკის ამსახველი ნივთები, ნიღბები, პირადი დოკუმენტები და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა მტკიცებულებები. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებას და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარებას გულისხმობს. დანაშაული სასჯელის სახით 10-დან 17 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.**

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სისტემის საიმედო პარტნიორია. ჩვენ აქტიურად ვაგრძელებთ საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების გატარებას",** – აღნიშნა **ლაშა მაღრაძემ.**



# მედლები გაინაღდეს

**ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც ორი ქართველი ფალავანი ფინალშია და ოქროს მედლისთვის იბრძოლებს.**

55 კგ წონით კატეგორიაში **ვახტანგ ლოლუამ** ფინალამდე ბულგარელი სტეფან გრიგოროვი 9:0 და სომეხი მანველ ხაჩატრიანი 3:1 დაამარცხა, ხოლო ფინალში რუს ემინ სეფერშაევს შეხვდება.

77 კგ წონით კატეგორიაში ფინალში გავიდა **რამაზ ზოიძე**, რომელმაც ესპანელი მარკოს მეიხასი 8:2, ხორვატი ანტონიო კამენიასევიჩი 9:3, სერბი ალექსა ილიჩი 5:2 და უნგრელი რობერტ ფრიტში 8:0 დაამარცხა. ზოიძის მეტოქე ფინალში სომეხი მალხაზ ამოიანი იქნება.

ბრინჯაოს შანსი ექნება **ფრიდონ აბულაძეს** (63 კგ), რომელმაც ფინელ ტინო ტაპიო ოიალას 4:1 აჯობა, შემდეგ მოლდოველ ვიტალიე ერიომენკოსთან 0:5 წააგო, მაგრამ ის ფინალში გავიდა და ქართველიც რეპეშაჟში გადავიდა. 130 კგ წონით კატეგორიაში **სულხან ბუიძემ** უნგრელ დარიუს ვიტეკთან მარცხი განიცადა, მაგრამ მან ფინალში გასვლა შეძლო და ქართველიც ხვალ რეპეშაჟიდან ბრინჯაოსთვის იბრძოლებს.

87 კგ წონით კატეგორიაში ლაშა გობაძემ შვეიცარიელი დამიან ვონ ეუვი 10:0 დაამარცხა, მაგრამ შემდეგ უკრაინელ იაროსლავ ფილჩაკოვთან 1:3 წააგო და ვინაიდან ისიც ფინალში ვერ გავიდა, გობაძემ გამოსვლა უმედლოდ დაასრულა.

# საბედისწერო ცდა

**საქართველოს ძალოსანთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის მეორე საშეჯიბრო დღე მედლების მოპოვებით დაიწყო, თუმცა იყო ის, რაც სამწუხაროდ ხშირად ხდება სპორტში – ტრავმა, რომელმაც ჩემპიონობის მოხვეჭის შესაძლებლობა დააკარგვინა საქართველოს ნაკრების წევრს.**

60 კილოგრამ წონითი კატეგორიაში ორი ძალოსნით – **გოდერძი ბერდელიძით** და **რამინ შამილიშვილით** ვიყავით წარმოდგენილი.

ბერდელიძე, რომელმაც შარშან ამავე რანგის ასპარეზობაზე ატაცში ბრინჯაოს, აკვრასა და ორჭიდში ვერცხლის მედლები მოიპოვა, ჩემპიონობისთვის შეუდგა ასპარეზობას. წარმატებითაც დაიწყო. ატაცში 125 კილოგრამი დაძლია და ოქროს მედალიც დაიმსახურა.

ატაცში 122 კილოგრამის დამორჩილებით კვარცხლბეკის მესამე საფეხური დაიმსახურა შამილიშვილმა, რომელსაც 2025 წლის ევროპის პირველობაზე აკვრასა და ორჭიდის ჯამში ბრინჯაოს მედლები ჰქონდა მოპოვებული. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებისთვის ცუდად დაიწყო ასპარეზობები აკვრაში. ოქროს მედლის მოპოვების კანდიდატმა, გოდერძი ბერდელიძემ პირველი მისვლისას 146 კილოგრამის დაძლევისას მარჯვენა მხარი ამოიგდო და შეჯიბრებას გამოეთიშა.



ორჭიდში სამეულამდე კილოგრამი დააკლდა შამილიშვილს, რომელიც 146 კილოგრამით მეექვსე იყო აკვრაში, ორჭიდში დაგროვილი 268 კილოგრამით კი მეოთხე. ორჭიდის შედეგების გათვალისწინებით ჩემპიონობა მოიპოვა ბულგარელმა ანგელ რუსევმა, რომელიც ატაცში (120) მეექვსე იყო, აკვრაში (155) კი პირველი. 274 კილოგრამით ვერცხლის მედალი ერგო სომხეთის წარმომადგენელ გარნიკ ჩოლაკიანს, რომელსაც ატაცში (124) მეორე შედეგი ჰქონდა, აკვრაში მესამე (150). ატაცში (121) და აკვრაში (148) დაკავებული მეოთხე ადგილებით, ორჭიდში (269) ბრინჯაოს მედლამდე დაწინაურდა თურქი იგით ერდოღანი. ასევე მედალოსანი გახდა კიდევ ერთი ბულგარელი დენის დანევი, რომელსაც აკვრაში (151) ვერცხლის მედალი ერგო.

# „ბათუმი" მეექვსედ თუ „არესი" პირველად?

**2025-26 წლების სეზონის crocobet დიდი 10-ის ფინალური შეხვედრა 25 აპრილს ბათუმში, „აჭარაბეთ არენაზე" 19 საათზე დაიწყება და მთავარი ტიტულისთვის ერთმანეთს „ბათუმი" და ქუთაისის „არესი" შეერკინებიან.**

„ბათუმი" მოქმედი ჩემპიონია და ტიტულის დაცვასთან ერთად, მის მეექვსედ მოპოვებას შეეცდება. აქამდე ზღვისპირელებს თასი 1999, 2002, 2019, 2022 და 2025 წლებში აღუმართავთ. ხუთი ოქროს გარდა მათ ანგარიშზეა 6 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. 25 აპრილს გამარჯვების შემთხვევაში, „ბათუმი" ჩემპიონობის რაოდენობებით თბილისის „ლელოს" (6) გაუტოლდება, ჯამში მოპოვებული მედლებით ეი გადაასწრებს (13-12-ზე) და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე აღზევდება.

**შეგახსენებთ, რომ პირველ ადგილზე თბილისის „ლოკომოტივია", რომელმაც დამოუკიდებლობის პერიოდში ჯამში ყველაზე მეტი, 22 მედალი მოიპოვა – 10 ოქრო, 4 ვერცხლი და 8 ბრინჯაო.**




რაც შეეხება ქუთაისის „არესს", 2015 წელს დაარსებული კლუბი დიდ 10-ში 2019 წელს აღზევდა, მას შემდეგ უძლიერესთა შორის თამაშობს და ნაბიჯ-ნაბიჯ აუმჯობესებდა თავის შედეგებს, თუმცა აქამდე მედალი არასდროს მოუპოვებია. წელს ნავსი გატყდება და 25 აპრილს გაირკვევა, თუ რომელი სინჯის მედალს მოიპოვებს ქუთაისური კლუბი პირველად – ოქროს თუ ვერცხლის.

საგულისხმოა, რომ წლევანდელი სეზონის რეგულარული გათამაშება ამ გუნდებმა პირველ-მეორე ადგილებზე დაასრულეს („ბათუმი" 66 ქულა, „არესი" 61 ქულა) და ლოგიკურია, სატიტულო შეხვედრაში მათი ჯახი რომ შედგება.

**წელს გუნდებმა ერთმანეთთან უკვე გამართეს სამი შეხვედრა. რეგულარული გათამაშების პირველ წრეში „არესმა" „ბათუმის" სტუმრად დამარცხება მოახერხა – 35:29, მეორე წრეში კი ზღვისპირელებმა ქუთაისში რევანში აიღეს – 33:17. 4 აპრილს, შესარჩევ ფინალში, ბათუმში გამართულ სანახაობრივ და დრამატულ შეხვედრაში მასპინძლებმა მინიმალური სხვაობით, 11:10 იმარჯვეს და ფინალის საგზური ნაადრევად მოიპოვეს. „არესი" ფინალში გასასვლელად 18 აპრილს ქუთაისის „აიას" შეერკინა, 33:22 დაამარცხა და რიოვედტ ჩემპიონობისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა.**

რაც შეეხება „აჭარაბეთ არენას", რომელიც 20 ათას მაყურებელს იტევს, ის crocobet-ის დიდი 10-ის ფინალს პირველად მასპინძლობს, თუმცა გადამწყვეტი მატჩი ზღვისპირა ქალაქში აქამდეც შემდგარა, თანაც ორჯერ – 2002 და 2019 წლებში. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში ჩემპიონობა მასპინძლებს დარჩათ.

# კარგი ამბები

## წყალში ხტომა

**ამსტერდამი (ნიდერლანდები).** 27-ე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი საქართველოს (მთავარი მწვრთნელი **ირაკლი ბართაია**), მასპინძელთა, საფრანგეთის, იტალიის, აშშ-ის, ბელგიის, ხორვატეთის, შვედეთისა და ნორვეგიის 100-მდე წარმომადგენლის მონაწილეობით. **ოქრო** – გიორგი წულუკიძე (3), თეკლე შარია (2). ჩვენმა გუნდმა ასევე 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვა. 22-28 აპრილს ჯვაროსნები გერმანულ დრეზდენში პრესტიჟულ სუპერტურნირში იასპარეზებენ.

## მაგიდის ჩოგბურთი

**დუზჯე (თურქეთი).** იქაური მე-2 ლიგის პლეი-ოფები 12 გუნდის მონაწილეობით. **ანასტასია ჩხარტიშვილის** ტრაბზონსფორმა ხუთივე შეხვედრა მოიგო ისევე, როგორც **ნინო ლიპარტიას** აქგიულმა და ორივე გაისად, შესაბამისად, სუპერლიგასა და პირველ ლიგაში დასაწინაურებლად იბრძოლებს.

## ფრენბურთი

**თურქეთის ჩემპიონატის პლეი-ოფი.** ნულიფერი – არას კარგო (იზმირი) 0:3 (სერიის ანგარიში 0:2). **ნინო კალანდაძე** სტუმრებს 12 ქულა მოუტანა. მისი გუნდი გაისად პირველად ითამაშებს ჩელენჯ კაპზე.

## ფეხბურთი

**სან მარინო.** ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი 17-წლამდელთა შორის. საქართველო – უელსი 2:2. **ალექსანდრე კობახიძის** გაწვრთნილ ჩვენ გუნდს წინა შეხვედრებში მასპინძლებთან და ანდორასთან მოპოვებული გამარჯვებებით განაღდებული ჰქონდა „ბ" ლიგის ჯგუფური რაუნდის მოგება.

გასულ უქმეებზე მორიგი გოლები გაიტანეს ქართველმა ლეგიონერებმა – **ხვიჩა კვარაცხელიამ, ოთარ კიტეიშვილმა, გიორგი ქვილითაიამ, ბუდუ ზივზივაძემ, გიორგი გულიაშვილმა** და **ლუკა ხორხელმა** (2), თუმცა მუხლის ტრავმა მიიღო ლივერპულის მეკარემ **გიორგი მამარდაშვილმა.** თავიდან ყველას მძიმე დაზიანება ეგონა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ვითარება არცთუ სერიოზულია და მამარდა დაახლოებით 1 თვის განმავლობაში იმკურნალებს.

## ჩოგბურთი

**მადრიდი (ესპანეთი).** პოპულარული ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის ნახევარფინალი. ნიკოლოზ ბასილაშვილი – სტეფანო ტრავალიო (იტალია) 2:0 (7:6, 6:4). დღეს ნიკა ფინალში ამერიკელ პატრიკ კიპსონს შეხვდება და თუ მოიგებს, ძირითად ბადეში ითამაშებს.

# ყველაფერი დაზუსტდა

**დასრულდა საკალათბურთო სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატი. ბოლო, 22-ე ტურის დარჩენილმა სამმა მატჩმა, ცხადია, საბოლოოდ გაანაწილა გუნდები ცხრილში და ყველა კითხვაზე პასუხიც გავიგეთ. საუკეთესო 8 გუნდი პლეი ოფის პირველ წრეში, მეოთხედფინალში დაწყვილდნენ, ხოლო მე-9-ზე გასული გუნდისთვის, რომელიც თბილისის რაში აღმოჩნდა, სეზონი დასრულდა.**

ის, რომ მე-10 ადგილზე გასული რუსთავი სუპერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად „ა" ლიგის ფინალისტ კასპის გრიფინს ხვდებოდა, ცნობილი იყო. ისევე როგორც გურჯაანის დელტას „ა" ლიგაში დაქვეითება. ბოლო სამმა მატჩმა გუნდები ცხრილში საბოლოოდ გაანაწილა.

ასე და ამგვარად,მეოთხედფინალურ სერიებში გუნდები ასე დაწყვილდნენ და მატჩებს ამ თანმიმდევრობით ჩაატარებენ:




**თსუ (1) – კსუ (8)**

I შეხვედრა – 23 აპრილი, 17:00 თბილისი არენა.
II შეხვედრა – 25 აპრილი, 15:00 თბილისი არენა.
III შეხვედრა – 28 აპრილი, 17:00 თბილისი არენა.
IV შეხვედრა* – 30 აპრილი, 17:00 დიღომი არენა.
V შეხვედრა* – 3 მაისი, 15:00 დიღომი არენა.

**ბათუმი (2) – ივერიონი (7)**

I შეხვედრა – 24 აპრილი, 17:00 თბილისი არენა.
II შეხვედრა – 26 აპრილი, 15:00 თბილისი არენა.
III შეხვედრა – 29 აპრილი, 19:00 ქ. გორი.
IV შეხვედრა* – 1 მაისი, 19:00 ქ. გორი.
V შეხვედრა* – 4 მაისი, 17:00 თბილისი არენა.

**ქუთაისი (3) – თელავი (6)**

I შეხვედრა – 24 აპრილი, 19:00 ქ. ზესტაფონი.
II შეხვედრა – 26 აპრილი, 17:00 ქ. ზესტაფონი.
III შეხვედრა – 29 აპრილი, 16:00 ქ. თელავი.
IV შეხვედრა* – 1 მაისი, 16:00 ქ. თელავი.
V შეხვედრა* – 4 მაისი, 19:00 ქ. ზესტაფონი.

**მარგვეთი (4) – ორბი (5)**

I შეხვედრა – 23 აპრილი, 19:00 ქ. ზესტაფონი.
II შეხვედრა – 25 აპრილი, 17:00 ქ. ზესტაფონი.
III შეხვედრა – 28 აპრილი, 19:00 ქ. ტყიბული.
IV შეხვედრა* – 30 აპრილი, 19:00 ქ. ტყიბული.
V შეხვედრა* – 3 მაისი, 17:00 ქ. ზესტაფონი.

**სერიები 3 მოგებამდე გაგრძელდება და შესაბამისად, შესაძლოა, წყვილებში წარმოდგენილი ბოლო 2 შეხვედრა საჭიროებისამებრ აღარ ჩატარდეს.**

# მიმდინარეობს ბოლნისის სიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები

**ბოლნისის სიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი ნებართვის საფუძველზე ხორციელდება,** – ინფორმაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ცნობით, **მიმდინარე სამუშაოები მოიცავს, მათ შორის, ტაძრის ინტერიერში 1970-იან წლებში მოწყობილი ბაზალტის იატაკის დემონტაჟს, რომელიც განთავსებულია ბეტონის დუღაბზე. ჩატარებული კვლევითი სამუშაოების ფარგლებში, ინტერიერში განხორციელებული შურფირების შედეგად, სამხრეთი კედლის პილასტრის ძირში და სამხრეთი მინაშენის დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა ადრინდელი პერიოდის იატაკი, აგრეთვე პილასტრის ბაზა სრულყოფილი სახით.**

**აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტი ითვალისწინებს 1970-იან წლებში მოწყობილი იატაკის დემონტაჟს არქეოლოგიური ზედამხედველობის პირობებში და ახალი, ღია ფერის ქვით იატაკის მოწყობას ტრადიციული ქართული წყობის გამოყენებით. ამასთან, არსებული იატაკის ნიშნული დაიწევა რამდენიმე სანტიმეტრით, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი სვეტებისა და პილასტრების პროპორციების სრულფასოვან აღქმას. გვიანდელი ბეტონისა და ბაზალტის ფენების მოხსნის პროცესში, ტექნოლოგიური აუცილებლობიდან გამომდინარე, გარკვეულ, ძნელად მოსახსნელ ადგილებში, გამოყენებულია შესაბამისი მექანიკური საბურღ-სატეხი საშუალება, რაც დასაშვებია პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში, რომელიც არ უქმნის საფრთხეს ძეგლის კონსტრუქციულ მდგრადობასა და არ იწვევს მის დაზიანებას. სამუშაოები მიმდინარეობს არქეოლოგის და დარგის შესაბამისი სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ, პროცესის თითოეული ეტაპის დოკუმენტირებითა და კონტროლით.**



# 70 წლის ბათუმელს მანქანა დაეჯახა და გარდაიცვალა

**ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირზე 70 წლამდე კაცს მანქანა დაეჯახა. ქვეითი კლინიკაში მიყვანისთანავე დაიღუპა.**

ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს. ავტომობილის მძღოლი დაკავებულია.

# უცხო ქვეყნის 56 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს

**შსს-ს ცნობით, მიგრაციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად ქვეყნიდან გაძევებულ იქნა თურქეთის, ინდოეთის, პაკისტანის, კენიის, ფილიპინების, ერაყის, ნიგერიის, უგანდის, ბანგლადეშის, განას, იორდანიის, კუბის, რუსეთის, სუდანის, ტაჯიკეთის, ჩინეთის და სხვა სახელმწიფოების, ჯამში, 56 მოქალაქე.**

# აღკვეთეს უკანონო ხე-ტყის ექსპორტი

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, საქართველოს პროკურატურასთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების ჯგუფურად დამზადება-გამოყენებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, ორი პირი დააკავეს. ამავე საქმეზე ბრალდება წარედგინება კიდევ ერთ ფიზიკურ პირს და ოთხ იურიდიულ პირს.**

„დაკავებულებმა, სხვადასხვა კომპანიების სახელით, ექსპორტზე ჯამში 13 073 კუბური მეტრი წიფლის ჯიშის ხის მასალა გაიტანეს, რითაც 8 960 588 ლარის ოდენობის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინეს. საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე და 210-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახედ 9-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# „ლომის ღრიალი“ ყველას მისწვდება!

**მედიის ცნობით, „მოსადმა“ და აზერბაიჯანის დაზვერვამ ირანული ჯგუფის მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე საბოტაჟი აღკვეთეს.**

ისრაელის საგარეო დაზვერვის სამსახურმა, **„მოსადმა“**, ისრაელის თავდაცვის ძალებმა და უსაფრთხოების სამსახურმა, **„შინ ბეთმა“** ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, რომლის თანახმად, თავდასხმა ასევე იგეგმებოდა ბაქოში ისრაელის საელჩოსა და ადგილობრივ სინაგოგაზე.

განცხადებაში ნათქვამია, რომ სტრუქტურის გამოაშკარავება შესაძლებელი გახდა ისრაელის თავდაცვის ძალების ოპერაცია **„ლომის ღრიალის“** დროს განხორციელებული საჰაერო დარტყმების სერიის მეშვეობით, ასევე **„მოსადისა“** და მისი პარტნიორების ინტენსიური მუშაობით სხვადასხვა ქვეყნის უსაფრთხოებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან.

განცხადების თანახმად, ოპერაციის შედეგადაც განეიტრალდნენ მაღალი თანამდებობის პირები და მექანიზმის ძირითადი მონაწილეები. ისრაელის მედიის თანახმად, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ დააკავა სამუშაო ჯგუფის წევრები, რომლებსაც ქვეყანაში იმპორტირებული

## ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე საბოტაჟი აღკვეთეს!

თვითმკვლელი დრონები და ფრაგმენტული ასაფეთქებელი მოწყობილობები აღმოაჩნდათ.

ისრაელის ხელისუფლების ცნობით, ჯგუფი, ირანელი ინსტრუქტორების დავალებით, აგროვებდა ინფორმაციას სამიზნეების შესახებ, მათ შორის აწარმოებდა თვალთვალსა და ფოტოგრაფირებას. ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ საიდუმლო მექანიზმის ხელმძღვანელი იყო **რაჰმან მაკადამი,** რომელიც ასევე ხელმძღვანელობდა **„ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“** სადაზვერვო ორგანიზაციაში მე-4000 სპეციალური ოპერაციების დანაყოფს.

ცნობილია ისიც, რომ დანაყოფის საქმიანობა განხორციელდა **„გუშაგთა კორპუსის“** დაზვერვის ორგანიზაციის ხელმძღვანელის, მაჯიდ ხადემის მითითებებით, რომელიც, ისრაელის თქმით, ოპერაცია **„ლომის ღრიალის“** დროს მოკლეს. ერთობლივი განცხადების თანახმად, ლიკვიდირებული იქნა ასევე **მეჰდი იახ-დახანი,** მეტსახელად „ექიმი“, რომელიც ოპერატიული ოფიცრის თანამდებობას იკავებდა და აზერბაიჯანსა და თურქეთში ხელმძღვანელობდა ოპერაციებს.




## სანთელი

# დავით მარდალეიშვილი



**სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ გუშინ: – გარდაიცვალა დავით მარდალეიშვილი, ახალგაზრდა კაცი, ჩვენი მეგობარი, ნიჭიერი, ერუდირებული, სამშობლოსა და ტრადიციების მოყვარული ადამიანი. ეს ყველაზე დიდი ტკივილი იყო ჩვენთვის – ის გახლდათ ყველასათვის ცნობილი და საყვარელი ჟურნალისტის, ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი გამორჩეული კალმოსნის ვილენ მარდალეიშვილის უფროსი ვაჟი.**

**ბედნიერი ყოფილა თავისი გარდაცვალებით ჩვენი კოლეგა, რომ შვილმკვდარი მამის სახელით არ მიეახლა ზეციურ საქართველოს ამ ოთხი წლის წინათ... ბედნიერი ყოფილა იმით, რომ ყველასთვის საყვარელი და ნიჭიერი შვილები დატოვა, ბედნიერი ყოფილა, რადგანაც თავის გვერდით ეყოლება საფიცარი ბიჭი, რომელსაც უყურადღებოდ არასოდეს ტოვებდა.**

**რით შეგვიძლია ვანუგეშოთ შვილმკვდარი დედა, ოჯახზე თავგადაკლული ქალბატონი, ცნობილი ექიმი დაგმარა წერეთელი, რომელიც დედაბოძივით ედგა მარდალეიშვილების ოჯახს ყოველგვარი გაჭირვების ჟამს. დაქვრივების მიუხედავად, სასოწარკვეთას არ მისცემია და ისეთი მედგარი ხასიათით განაგრძობდა ოჯახის დედობას, როგორც ნამდვილ ქართველ ქალბატონს ეკადრება...**

**„საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები გულისტკივილით ვუსამძიმრებთ ჩვენი დავითის დედიკოს ქალბატონ დაგმარა წერეთელს, დათოს უმცროს ძმას ზვიადსა და ზვიადის ლამაზ ოჯახს, მისი ანანო და აკაკი ხომ დავითის გაზრდილები არიან, არამარტო გაზრდილები, არამედ მისი მესაიდუმლეები და მეგობრები. ვუსამძიმრებთ დიდ სამეგობროს, რომლებმაც ერთგული ვაჟკაცი დაკარგეს. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა. მშვიდობით, დავით!**

„საქართველოს რესპუბლიკა“


# გმადლობთ, ჩემო მკურნალო ექიმებო!

**დიდი მადლობა ჩემს მკურნალ ექიმებს, ქირურგ-ონკოლოგს, მამოლოგ გიორგი ძაგნიძეს და ონკოლოგ-მამოლოგს ნინო ქართველიშვილს მათი მაღალი პროფესიონალიზმისა და მზრუნველობისთვის.**

**2015 წელს მეოთხე სტადიის პროგრესირებადი სიმსივნის დიაგნოზის შემდეგ, სწორედ მათი პროფესიული მიდგომის წყალობით შევძელი ამ მძიმე დაავადების დამარცხება.**

**დღეს, 11 წლის შემდეგ მადლიერებით ვამბობ – სიმსივნე განაჩენი არ არის. ძლიერი პროფესიონალი ექიმების დახმარებით ამ დაავადების დამარცხება შესაძლებელია.**

**გულითად მადლობას გიხდით ყველაფრისთვის, თქვენ არა მხოლოდ ექიმები, არამედ ადამიანური მხარდაჭერის საუკეთესო მაგალითები ხართ.**

პატივისცემით და მადლიერებით
თამილა ცაგარეიშვილი



# განცხადება

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს **მარიამ კვარაცხელიასთან,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: **ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28,** მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2024 წლის 16 სექტემბერს გარდაცვლილი მოქალაქე იური ფესენკოს (დაბადებული 1965 წლის 11 მაისს (პ/ნ: 61004053538) გარდაცვალების მოწმობა N77247007809)) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, თბილისის ქუჩა N9-ში, საცხოვრებელი სახლის მე-2 სართულზე არსებული ბინა N6-ის 19,20 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის (ს/კ: 20.48.01.522.01.006) უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: **ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28.**



# „ევროპული ტრადიციები ქართულ მუსიკაში“



**საფრანგეთში, პარიზის „სალ გავოს“ (Salle Gaveau) საკონცერტო დარბაზში, კონცერტი – „ევროპული ტრადიციები ქართულ მუსიკაში“ გაიმართა. საღამოს საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე დაესწრო.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, კონცერტი საქართველოს კულტურის სამინისტროს ორგანიზებითა და საფრანგეთში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა და პარიზის წიგნის ფესტივალის დასკვნით ღონისძიებას წარმოადგენს.

პროექტი, რომელიც ქართული მუსიკის საერთაშორისო არენაზე პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, ქართველი და ფრანგი მუსიკოსების კოლაბორაციით განხორციელდა. საღამოზე საფრანგეთის მუსიკალურ სენასთან არსებულმა ორკესტრმა (SBO) პირველად შეასრულა ქართული მუსიკა მაესტრო **ნიკა ნიკვაშვილის** ხელმძღვანელობით.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველმა ხელოვანებმა: საოპერო მომღერლებმა – **იანო ალიბეგაშვილმა** და **გიორგი ანდღულაძემ,** მევიოლინე **ლელა მჭედლიძემ** და ახალგაზრდულმა კაპელამ **მეკო ქავთარაძის** ხელმძღვანელობით.

**„ქართველმა შემსრულებლებმა პარიზის ერთ-ერთ საუკეთესო საკონცერტო დარბაზში ფრანგ მუსიკოსებთან ერთად წარადგინეს ქართული მუსიკა. ეს კოლაბორაცია უმნიშვნელოვანესი ფაქტია.**

**განსაკუთრებით ემოციური იყო პატრიარქისადმი მიძღვნილი „ავე მარია“, იმიტომ, რომ ეს ჭრილობა, ალბათ, კიდევ დიდხანს გვექნება ღია.**

**ამ დღეების განმავლობაში ჩვენი ქვეყანა ღირსეულად წარდგა საერთაშორისო არენაზე. გაწეული შრომისთვის დიდ მადლობას ვუხდი საქართველოს საელჩოს საფრანგეთში“,** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**



# ივანე ჯავახიშვილის 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კვირეული

**ივანე ჯავახიშვილის 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში თსუ-ის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის პირადი ფონდის უნიკალური ექსპონატები – ფოტოები, ხელნაწერები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა და მემორიალური ნივთები.**

განსაკუთრებული ადგილი უკავია ივანე ჯავახიშვილის კარტოგრაფიულ მემკვიდრეობას: საქართველოს საზღვრების რუკა (1919); საქართველოს რესპუბლიკის რუკა (1922); საქართველოს ისტორიული რუკა (1923); საქართველოს ბოტანიკურ-აგრონომიული არეების რუკა (1930).

გამოფენა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დიდი მეცნიერის მემკვიდრეობის მნიშვნელობას და მის წვლილს საქართველოს ისტორიის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში.

# „კაცია-ადამიანი“?! თუმანიშვილის თეატრში

**24, 25, 26 აპრილს, 20:00 საათზე, თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში პრემიერაა – ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „კაცია-ადამიანის?! “ მიხედვით სპექტაკლი „კაცია, ადამიანი დაიდგმება.**

ტექსტზე მუშაობდნენ: **მანანა ანთაძე** და **საბა ასლამაზიშვილი**

რეჟისორი: **საბა ასლამაზიშვილი;** მხატვარი: **გიორგი უსტიაშვილი;** კომპოზიტორი **კონსტანტინე ეჭიბაშვილი;** ქორეოგრაფი **კოტე ფურცელაძე;**

მონაწილეობენ: **შაკო მირიანაშვილი** (კ.მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი), **თამრი ბზიავა, ბექა ჯუმუტია.**







# „ამოქარგული ისტორია“

**22 აპრილს, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეა გამოფენას – „ამოქარგული ისტორია“ უმასპინძლებს.**

ფოლკლორის ცენტრის ინფორმაციით, ქართული ხალხური რეწვის ოსტატების – ლიანა ანიაშვილისა და დარიკო ჩიხლაძის პერსონალურ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საერო და საეკლესიო ნაქარგობის ხელოვნების ნიმუშები. გამოფენილი ნამუშევრები თავად ჰყვებიან: ნაქარგობის ისტორიას, წარსულის გაცოცხლების, აღდგენისა და მისი შენარჩუნების გზას.

**გამოფენა ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის ხსოვნას. საეკლესიო ნაქარგობა ორი საუკუნე დაკარგული იყო.**



# „საქართველოს სინფონიეტა“ სამხრეთ ამერიკაში

**თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“ სამხრეთ ამერიკის მასშტაბური ტურნეს წინ, თბილისსა და გურჯაანში, კონცერტებს გამართავს.**

როგორც „სინფონიეტას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა **თეა მუქერიამ** განაცხადა, თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“ ახალ საკონცერტო სეზონს მნიშვნელოვანი სიახლეებითა და საერთაშორისო აღიარებით აგრძელებს.

**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ორკესტრმა შეიძინა მსოფლიოში სახელგანთქმული კრემონელი ოსტატების მიერ დამზადებული ახალი იტალიური სიმებიანი ინსტრუმენტები. სწორედ ამ უნიკალური ინსტრუმენტების პრეზენტაციასა და სამხრეთ ამერიკის დიდ საკონცერტო ტურნეს ეძღვნება ორკესტრის უახლოესი გამოსვლები, რომლებიც 23 აპრილს გურჯაანის კულტურის ცენტრში, ხოლო 24 აპრილს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება.**

# „კლასიკური კონცერტები ბათუმში“

**ბათუმი საერთაშორისო ფესტივალს „კლასიკური კონცერტები ბათუმში“ მასპინძლობს. ოთხი დღის განმავლობაში, მსოფლიო დონის მუსიკოსების მონაწილეობით, მსმენელს დაუვიწყარი მუსიკალური თავგადასავალი ელოდება.**

ფესტივალი გაიხსნა კონცერტით – „კლასიკური ჰარმონია“. მსმენელის წინაშე წარდგნენ თანამედროვე აკადემიური სცენის გამორჩეული პიანისტი ელენ მერსიე და შვედი ვირტუოზი მევიოლინე დანიელ ლოზაკოვიჩი. გალა საღამოები ბათუმის დრამატულ თეატრში გაიმართება.



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტექილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ტორში“
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 24 აპრილს